პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 38 (18580) სამშაბათი, 15 თებერვალი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მორიგ სხდომაზე განხილა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, აგრეთვე საგარეო პოლიტიკის მთელ რიგი საკითხები.

სხდომაზე მოისმინეს პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ტიხონოვის ინფორმაცია იმ მუშაობის შესახებ, რომელიც გაწეულია ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხებზე სამინისტროებისა და უწყებების, სხვა ცენტრალური ორგანიზაციების მისამართით სკკპ XXVI ყრილობის დელეგატთა მიერ გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების რეალიზაციასთან დაკავშირებით.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, ყრილობის დელეგატთა წინადადებების მნიშვნელოვანი ნაწილი აისახა ხუთწლიანი და წლიური გეგმებით გათვალისწინებულ დავალებებში, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში.

სსრ კავშირის მთავრობა, სამინისტროები და უწყებები განაგრძობენ პარტიის ყრილობის მიერ დასახული მთელი რიგი სხვა დიდი სამეურნეო პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო ღონისძიებათა შემუშავებას. ასეთ პრობლემათა შორისაა ეკონომიკის მართვის სრულყოფა, სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების როლის ამაღლება მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტაში და სხვა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განხილულ საკითხი, რომ მოსკოვში პოკლონაიას გორაზე დაიდგას 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების ძეგლი. მონონებულია საპროექტო წინადადება, რომ აიგოს გამარჯვების ძეგლი და დიდი სამამულო ომის მუზეუმი დიდების დარბაზითურთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა დ. თ. უსტინოვმა სხდომას მოახსენა საბჭოთა კავშირში ავღანეთის სამხედრო დელეგაციის ოფიციალური ვიზიტისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრთან, გენერალ-ლეიტენანტ ა. კადირთან გამართული საუბრების შედეგები.

სხდომაზე განიხილეს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომ სრულყოფასა და გაღრმავებასთან დაკავშირებული საკითხები.

საძმეო გამოპარვა

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში ვიდამდე გადასცეს საექსპლოატაციოდ ტექნიკური და კორდონის ძაფების წარმოების სიმძლავრენი. საწარმო ყოველწლიურად გამოუშვებს ექვს ათას ტონა პროდუქციას.

ამავე დროს მიმდინარეობს ქარხნის რეკონსტრუქცია, რომელიც 1984 წელს დამთავრდება. ეს ერთისამად გაზრდის საწარმოს სიმძლავრეს.

არსებულ ფართობებზე მოძველებული დაზგები და მანქანები შეიცვლება უახლესი, დიდმწარმოებლური მოწყობილობით.

სურათებზე: კორდონის ძაფს უშვებს რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ახალი სიმძლავრენი; მოწინავე მჭოველი, კომკავშირელი ლია გელაშვილი.

ვ. მორბუნოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა ახალი ამბები

საერთო ძალებით

ათ თვეზე ცოტა მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც რესპუბლიკის ყველა რაიონში შეიქმნა სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებანი. გაერთიანებებში შეავიდა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სოფლტექნიკისა და სოფლქიმიის სამსახურები, გადამმუშავებელი, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციები, გაერთიანებებს შესაძლებლობა მიეცათ უფრო ოპერატიულად გამოეყენებინათ შრომითი და მატერიალური რესურსები სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, სოციალური განვითარების ამოცანების გადაწყვეტის მიზნით.

გაერთიანებათა საქმიანობის ზოგიერთ მხარეზე ქვემოთ გესაუბრებით.

მახარაძე. ლაო-ჩას პროდუქციის წარმოების რესპუბლიკაში ერთ-ერთი წამყვანი ლაითურის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა უკვე დაამთავრეს ლაო-ჩას კრეფა. გადასამუშავებლად ჩაბარეს სამი ათას ტონაზე მეტი ჩაი, რომლისგანაც ამზადებენ აგურა ჩაის.

მახარაძელები რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების შექმნის პირველთა რიგებში არიან. გაერთიანების არსებობის რამდენიმე წელმა ყველა დაარწმუნა, რომ სწორია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის არჩეული გზა. აი ერთი მაგალითი. რაიონში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას სერიოზულად აფერხებდა საკვები ბაზა. გაერთიანების შექმნის შემდეგ ცენტრალიზებული ფონდებიდან 750 ათასი მანეთი გამოყვეს კოლხეთის დაბლობის 5 ათასი ჰექტარი მიწის ასათვისებლად. აქ განხორციელებულმა კულტტექნიკურმა სამუშაოებმა უკვე მარშან შესაძლებელი გახადა დაეგზავნინათ 15 ათას ტონაზე მეტი თივა.

წლეულს ცენტრალიზებული ფონდებიდან გამოყოფენ სახსრებს მთელი რიგი ჩაის ფაბრიკების რეკონსტრუქციისათვის, მიკროფაბრიკების შენებლობისათვის.

დასკვნა. წარმოების ძირითადი დარგების — მეცხოველეობისა და მეკარტოფილეობის საზიანოდ როდი შექმნა რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებამ დამხმარე წარმოება, პირველი პროდუქცია — ტუფის, გრანიტისა და ბაზალტის ფილები აწარმოა ქვის დამამუშავებელმა ქარხანამ.

ახლახან, ისევე რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების სახსრებით, რაიონში აშენდა ჩაის საწონი ფაბრიკა, მწვანე ჩაის დასამზადებელი ნედლეული შემოდის ზუგდიდის რაიონის მშრომელებისაგან — სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული მეგობრებისაგან. ფაბრიკა დიდ შემოსავალს იძლევა, უზრუნველყოფს მოსახლეობის მთელი წლის მანძილზე დასაქმებას. (საქინფორმი).

დროის მოთხოვნათა შესაბამისად

რესპუბლიკაში მიმდინარეობს მიზანმიმართული მუშაობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. აქტიურად ეძებენ სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო ორგანიზაციების პარტნიორობის ახალ ფორმებს, აფართოებენ დიდი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაჭრის პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდის გამოყენების სფეროს. უფრო ქმედითი და კონკრეტული გახდა პარტიული ორგანოების საქმიანობა, რომლის მიზანია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება.

პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების მთავარი ორგანიზატორი, მეცნიერების განვითარებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ძალების კონცენტრაციის კოორდინატორი გახდა რესპუბლიკის მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

გამართა საკოორდინაციო საბჭოს მორიგი სხდომა. იგი გახსნა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ორგანიზატორული მუშაობის შესახებ, რომელსაც საკოორდინაციო საბჭოს სექციები და სამუშაო ჯგუფები ეწევიან, ინფორმაციები გააკეთეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგემ ა. პ. საყვარელიძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ნ. შ. ენდელაძემ, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ლ. ს. ხარბედიამ.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ვ. ციციშვილმა გააკეთა ინფორმაცია აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების ინსტიტუტებში მიმდინარე სამეცნიერო გამოკვლევებისა და წარმოებაში მათი შედეგების დანერგვის პერსპექტივების შესახებ.

რესპუბლიკის მეცნიერებისა და ახალი ტექნიკის გეგმების შესრულებაში მიმდინარეობს შესახებ სხდომას მოახსენეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ს. ყორდანიამ და საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ნ. ოკლეიმ.

სხდომის მონაწილეებს აცნობეს რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს წინადადებანი უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერებისა და წარმოების პარტნიორული ურთიერთობის გაძლიერების შესახებ. შემუშავებულია დროებითი დებულება ექსპერიმენტის სახით უმაღლესი სასწავლებლებისა და საწარმოების იმ მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების ახალი, პროგრესული სისტემის შემოღების შესახებ, რომლებიც წარმატებით ნერგავენ პრაქტიკაში მეცნიერულ სიახლეებს. შესაბამის წინადადებებს უახლოეს ხანს წარუდგენენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს. სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ ასრულებენ წინადადებებსა და როგორ რეგირებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზე გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებზე.

სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი გ. გ. ლეჟავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ჟ. კ. შარტავა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. კ. ხარადე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია.

საბჭოს სხდომის შედეგები შეაჯამა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის საკოორდინაციო საბჭომ, მისმა სამუშაო ორგანოებმა გააქტიურეს მუშაობა იმისათვის, რომ უთუოდ შეასრულონ, დასახული მოცულობით და დროულად, VI პლენუმის მიერ მოწონებული დავალებანი, განახორციელონ სახალხო მეურნეობის დარგებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ღონისძიებანი. ამასთან გამოსვლებში ყურადღება მიეპყრო ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს. გაუმართლებლად ჭიანურდება მთელი რიგი აქტუალური საკითხების გადაწყვეტა. სამინისტროები და უწყებები ნელა და ინერტულად მოქმედებენ პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად მთელი მუშაობის გარდაქმნის საქმეში. ყველა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია და კომიტეტი რომდა განმსჯელელი იდეით, რომ საჭიროა მკვეთრი შემობრუნება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხებისაკენ, არ განუსაზღვრავთ თავიანთი კონკრეტული ამოცანები და მოქმედების გეგმა. საკოორდინაციო საბჭოს ზოგიერთი სამუშაო ჯგუფი საკმარისად აქტიურად არ მუშაობს თავის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

პარტიის ბევრ რაიკომთან და საქალაქო კომიტეტთან შექმნილია მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რეგიონალური საბჭოები. მაგრამ მათ ჯერჯერობით სათანადოდ არ გაუჩაღებიათ მუშაობა.

უკანასკნელ ხანს გაუმჯობესდა რესპუბლიკის მეცნიერებისა და ახალი ტექნიკის გეგმების პროექტების შედგენა. ისინი მოიცავენ საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებებსა და საწარმოებს, შეიცავენ სრულად საკავშირო და რესპუბლიკური მიზნობრივი კომპლექსური მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების დავალებებს. მატერიალურ-ტექნიკურ და ფინანსურ რესურსებთან შეწონასწორებამ განაპირობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საქმეში მეცნიერებისა და ახალი ტექნიკის გეგმების როლის გადიდება.

ამავე დროს მეცნიერებისა და ახალი ტექნიკის გეგმების შესრულებაში აღინიშნება ნაკლოვანებანი, არის გადასაწყვეტი საკითხები. გეგმით დასახული ღონისძიებანი ჯერ კიდევ არ გამოირჩევა მაღალი ეფექტიანობით, ყოველთვის არ შეესაბამება თანამედროვე საბჭოთა და საზღვარგარეთის ტექნიკის დონეს. მთლიანად მეცნიერებისა და ახალი ტექნიკის რესპუბლიკური გეგმა ჯერ კიდევ არ გამხდარა ძირითადი სახელმწიფო საგეგმო დოკუმენტი, რომელიც ეფექტიანად წარმართავს რესპუბლიკის მთელ სახალხო მეურნეობას სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის.

საკოორდინაციო საბჭომ მოიწონა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების ინსტიტუტების საქმიანობა, აღინიშნა, რომ ამ ინსტიტუტების კოლექტივები თანამედროვე ქიმიის, ფარმაკოქიმიისა და მეტალურგიის ფუნდამენტური პრობლემების გამოკვლევასთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობენ სახალხო მეურნეობაში სამეცნიერო გამოკვლევების შედეგების დანერგვას, სამრეწველო საწარმოებთან პარტნიორული ურთიერთობის ახალი ფორმების ძიებას. ამავე დროს, განყოფილების ინსტიტუტების მეცნიერულ პოტენციალს ვერ იყენებენ მთლიანად, იქ შესრულებული გამოყენებითი ხასიათის ყველა ნამუშევარს საათანადოდ ვერ ნერგავენ პრაქტიკაში.

რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა პრაქტიკაში დანერგვის დაჩქარება ახალი ხუთწლედის ერთ-ერთი სტრატეგიული გეზია. საჭიროა გავაძლიეროთ უწყებების, საწარმოების, ინსტიტუტების ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა ახალ სახეობათა პროდუქციის შემუშავების, ათვისებისა და წარმოებისათვის, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის. საჭიროა აღმოვფხვრათ ყველაფერი, რაც ხელს უშლის ახლის დანერგვას. წარმოება უღრესად უნდა იყოს დაინტერესებული იმით, რომ სწრაფად ათვისოს მეცნიერთა და კონსტრუქტორთა აზრისა და შრომის ნაყოფი. განვითარებადი მრეწველობა მოითხოვს სამეცნიერო გამოკვლევათა გაღრმავებას. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა უნდა გაღრმავნ მრეწველობის განვითარებად დარგებთან ინსტიტუტების კოოპერაცია. პარტნიორობის ახალი სრულყოფილი ფორმების ძიება მეცნიერთა და წარმოების მუშაკთა მთავარი ამოცანაა. ამ მხრივ უფრო ფართოდ უნდა შევისწავლოთ და გამოვიყენოთ მოკავშირე რესპუბლიკების გამოცდილება. საინტერესოა, მაგალითად, უკრაინის გამოცდილება დიდ საწარმოებთან, გაერთიანებებთან, სამინისტროებთან მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლობის დარგში. აქ დიდი შესაძლებლობებია და ისინი უნდა გამოვიყენოთ.

სხდომის მონაწილეებმა თქვეს, რომ საჭიროა სამეცნიერო დაწესებულებების საქმიანობაში უფრო ფართოდ დავნერგოთ სამეურნეო ანგარიშის პრინციპები. ინსტიტუტებმა, რომელთაც შეუძლიათ სარგებლობა მოოტანონ წარმოებას, დამატებითი წყაროები უნდა ეძებონ თავიანთი ბიუჯეტის ფორმირებისათვის. ამ საკითხში უნდა გაიზარდოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის როლი.

გამოსვლებში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის მუშაობის იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა — პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ, სამეცნიერო-პოპულარულმა კინომ უნდა გააქტიურონ თავიანთი საქმიანობა, სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის, შრომის ნაყოფიერების ზრდის, ეკონომიკური პროპაგანდის ამაღლების რეზერვების ძიების დარგში მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისათვის.

მთელ ამ მუშაობაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნით რესპუბლიკურ საკოორდინაციო საბჭოსა და მის სამუშაო ორგანოებს — სექციებს, ქვესექციებსა და სამუშაო ჯგუფებს. ისინი უფრო აქტიურად უნდა წყვეტდნენ მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებს, ავლენდნენ და ამოქმედებდნენ ყველა რეზერვს. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის მუშაობა, რომელიც რეგიონებში წარმოებს.

ყველა განხილულ საკითხზე საბჭომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი და განსაზღვრა პასუხისმგებელი შემსრულებლები.

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. ა. ანდრონიკაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ზ. ა. ჩხეიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. ვადაჭკორია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ბ. ზ. ბარსუკოვი, ბ. დ. მახარაშვილი, გ. ს. მამაცაშვილი, ლ. ი. მგალობლიშვილი და ლ. ი. ხაბურზანია. (საქინფორმი).

ჩვენი ეკონომიკური მიმოხილვა

როგორ ინერგება ბრიგადული იჯარა მუშაობაში?

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე დიდი ყურადღება დაეთმო კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობის ამაღლების საკითხს. სამშენებლო წარმოების ეფექტიანობის და ხარისხის გაუმჯობესება, ეკონომიკის რეჟიმის დაცვა, შრომის და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცება ბრიგადული იჯარის შემდგომ განვითარებას მოითხოვს.

როგორც ცნობილია, ამ მეთოდის პიონერია სოციალისტური შრომის გმირი ნიკოლოზ ზლობინი. მას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა ჩვენს რესპუბლიკაშიც. მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ იგი ჯერჯერობით დამაკმაყოფილებლად არ ინერგება.

პირველი ბრიგადა, რომელმაც ნ. ზლობინის მეთოდით დაიწყო მუშაობა ჩვენს რესპუბლიკაში, იყო მთავრობილისმშენის მეთოთხმეტე ტრესტის მეორე სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადა ვილჰელმ გალდავას ხელმძღვანელობით. ეს ბრიგადა 1971 წლიდან სამეურნეო ანგარიშით მუშაობს. ამ ათოიდე წლის წინათ ვ. გალდავას ბრიგადამ ერთგვარად გაუმჯობესა კიდევაც ნ. ზლობინის მეთოდი. ობიექტებზე მათ მოიცვეს სამუშაოთა მეტი კომპლექსი. მიუხედავად რიგი სინელეებისა, რომლებიც თან ახლავს ყოველ ახალ წამოწყებას, თავიდანვე ვ. გალდავას ბრიგადამ დიდ წარმატებებს მიაღწია. ამ ბრიგადასთან ერთად, განვლილ პერიოდში, განსაკუთრებული წარმატებები მოიპოვეს ტრისტან ქართველიშვილის, ვალერიან ტელიძის, ლერი ინასარიძის, შოთა მოდებაძისა და სხვათა ბრიგადებმაც.

თავის დროზე ვ. გალდავას ბრიგადის მსგავსად ზლობინელებთან შედარებით სხვა ბრიგადებმაც გაიფართოვეს სამუშაოთა კომპლექსი. კერძოდ, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 10 ტრესტის პირველ სამშენებლო სამმართველოში ლერი ინასარიძის კომპლექსურ ბრიგადა აწარმოებდა ნულოვანი ციკლის სამუშაოებსაც.

1974 წელს თბილისში გაიმართა ნ. ზლობინის მიმდევართა პირველი რესპუბლიკური შეკრება, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც ქართველი ზლობინელები, ისე მოსკოვიდან და სსრ კავშირის სხვა ქალაქებიდან ჩამოსული მშენებლები. ამ შეკრებამ ახალი სტიმული მისცა რესპუბლიკაში ბრიგადული იჯარის შემდგომ განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ სამეურნეო ანგარიშის ახალი ფორმით მომუშავე ბრიგადების უმრავლესობა წარმატებით ასრულებს ვალდებულებებს. მათ 1972-1982 წლებში გაიცალეთ უქეთეს მაჩვენებლებს მიაღწიეს ტრადიციული მეთოდით მომუშავე ბრიგადებთან შედარებით. მაგალითად, ობიექტების მშენებლობის ხანგრძლივობა საშუალოდ შემცირდა 20 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა დაახლოებით 30 პროცენტით. ახალი მეთოდით მომუშავე მოწინავე ბრიგადებში შრომის ნაყოფიერების ზრდა წინ უსწრებს საშუალო ხელფასის ზრდას, ზლობინელები ობიექტებს საექსპლოატაციოდ ძირითადად გადასცემენ „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასებით. შრომის ამგვარი ორგანიზაცია ამცირებს ფაქტობრივ დანახარჯებს, დაახლოებით 25 პროცენტით მცირდება სამუშაო დროის დანაკარგები, ფართოდ ინერგება შრომის მოწინავე მეთოდები.

კავშირის მასშტაბით ზლობინელები აღწევენ შრომის ნაყოფიერების ყოველწლიურ ზრდას საშუალოდ 5-6 პროცენტით, მშენებლობის ღირებულების შემცირებას 3-4 პროცენტით, საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საგეგმო ხანგრძლივობის შემცირებას 7-8 პროცენტით, სამუშაოთა ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

1976-1980 წლებში რესპუბლიკაში ნ. ზლობინის მეთოდით მომუშავე ბრიგადების რაოდენობა დაახლოებით 1,9-ჯერ გაიზარდა, ხოლო ამ ბრიგადებში დასაქმებული მუშების რაოდენობა — 2,6-ჯერ, მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა ათჯერ გაიზარდა, ხოლო მთლიანად — 29 პროცენტით. შრომის ნაყოფიერება ახლებურად მომუშავე ბრიგადებში — 16 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მთელ მშენებლობაში — 9 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის სიახლოვე იმით არის განპირობებული, რომ უკანასკნელ წლებში ამ მეთოდით მომუშავე ბრიგადებში ერთი მუშის გამომუშავება დაახლოებით 40 პროცენტით მეტია, ამიტომ მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა ხვედრითი წილი მეათე ხუთწლედში რვაჯერ გაიზარდა. 1980 წელს ერთი მუშის საშუალო ხელფასი შესაბამედთ აღემატება ანალოგიურ მაჩვენებელს მთლიანად კაპიტალურ მშენებლობაში.

1981 წელს 1980 წელთან შედარებით ნაწილობრივ გაუარესდა ახლებურად მომუშავე ბრიგადების ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. მაგალითად, შემცირდა ერთი მუშის საშუალო გამომუშავება და ხელფასი. ზზიფის და სოხუმის სახლთაშენებელ კომბინატებში შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა არ შესრულებულა. ამავე დროს რესპუბლიკაში ერთი მუშის საშუალო გამომუშავება დაახლოებით 30 პროცენტით მეტია ნ. ზლობინის მეთოდით მომუშავე ბრიგადებში. ამ ბრიგადებში სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება საგეგმოსთან შედარებით დაახლოებით 10 პროცენტით შემცირეს, ხოლო საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ხანგრძლივობა — 3 პროცენტით. ბრიგადულ იჯარის ეფექტიანად იყენებენ გაერთიანება „თბილქალაქმშენის“ № 14 ტრესტში №№ 1, 2 სახლთმშენებელ კომბინატებში, ქუთაისის და რუსთავის სახლთმშენებელ კომბინატებში, № 3 ტრესტში და სხვა ორგანიზაციებში. ბრიგადული იჯარის დანერგვაში ჩამორჩებიან № 7, 8, 9 და 11 ტრესტები, ბზიფის სახლთმშენებელი კომბინატი და სხვა.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროში 1981 წელს წინა წელთან შედარებით 11 პროცენტით გაიზარდა ბრიგადული იჯარის პირობებში ერთი მუშის საშუალო გამომუშავება, ხოლო საშუალო ხელფასი — 7 პროცენტით. ამავე წელს სამინისტროს სისტემაში ფაქტობრივად ადგილი არ ჰქონია საიჯარო ხელშეკრულების შეუსრულებლობას. თუ 1981 წელს წინა წელთან შედარებით რესპუბლიკაში ნაწილობრივ გაუარესდა ახალი მეთოდით მომუშავე ბრიგადების ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, მთლიანად მშენებლობის სამინისტროებში საწინააღმდეგო სურათია და ბრიგადული იჯარა კვლავ აღმავალი გზით ვითარდება.

მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებში სამეურნეო ანგარიშის ბრიგადული ფორმის გავრცელების საქმეში ხერხოზული ნაკლოვანებებია. ცალკეული სამშენებლო ტრესტების ხელმძღვანელობა ჯერაც სათანადო ყურადღებას არ აქცევს ამ პროგრესულ მეთოდს.

ბრიგადების საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტს არ აქვთ წლიური და პერსპექტიული გეგმები, რის გამოც სამეშაო დროის 30-40 პროცენტს სათანადოდ ვერ იყენებენ. ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრა საშუალოს იძლევა მომუშავეთა იმავე რაოდენობის პირობებში რესპუბლიკაში ყოველწლიურად დამატებით შესრულდებ 120-150 მილიონ მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება საგეგმოსთან შედარებით დაახლოებით 10 პროცენტით შემცირეს, ხოლო საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ხანგრძლივობა — 3 პროცენტით. ბრიგადულ იჯარის ეფექტიანად იყენებენ გაერთიანება „თბილქალაქმშენის“ № 14 ტრესტში №№ 1, 2 სახლთმშენებელ კომბინატებში, ქუთაისის და რუსთავის სახლთმშენებელ კომბინატებში, № 3 ტრესტში და სხვა ორგანიზაციებში. ბრიგადული იჯარის დანერგვაში ჩამორჩებიან № 7, 8, 9 და 11 ტრესტები, ბზიფის სახლთმშენებელი კომბინატი და სხვა.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროში 1981 წელს წინა წელთან შედარებით 11 პროცენტით გაიზარდა ბრიგადული იჯარის პირობებში ერთი მუშის საშუალო გამომუშავება, ხოლო საშუალო ხელფასი — 7 პროცენტით. ამავე წელს სამინისტროს სისტემაში ფაქტობრივად ადგილი არ ჰქონია საიჯარო ხელშეკრულების შეუსრულებლობას. თუ 1981 წელს წინა წელთან შედარებით რესპუბლიკაში ნაწილობრივ გაუარესდა ახალი მეთოდით მომუშავე ბრიგადების ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, მთლიანად მშენებლობის სამინისტროებში საწინააღმდეგო სურათია და ბრიგადული იჯარა კვლავ აღმავალი გზით ვითარდება.

მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებში სამეურნეო ანგარიშის ბრიგადული ფორმის გავრცელების საქმეში ხერხოზული ნაკლოვანებებია. ცალკეული სამშენებლო ტრესტების ხელმძღვანელობა ჯერაც სათანადო ყურადღებას არ აქცევს ამ პროგრესულ მეთოდს.

ბრიგადების საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტს არ აქვთ წლიური და პერსპექტიული გეგმები, რის გამოც სამეშაო დროის ეფექტიანი გამოყენებისა და ადამიანური რესურსების ეკონომიის საკითხი ჯერ-ჯერობით ბოლომდე ვერ გადაწყვეტილა. ეს ბრიგადული იჯარის ეფექტიანობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. ეს ფაქტორი ბრიგადებმა ადგილებზე ადგილობრივ ინიციატივებზე, ადგილობრივ ბაზაზე, ადგილობრივ ენერგეტიკულ ბაზაზე, ადგილობრივ ტრანსპორტზე, ადგილობრივ ადამიანურ რესურსებზე, ადგილობრივ ფინანსურ ბაზაზე, ადგილობრივ ადამიანურ ბაზაზე, ადგილობრივ ადამიანურ ბაზაზე, ადგილობრივ ადამიან

პარტიული ცხოვრება: პროგლემები და განსჯა

დისციპლინა კოლექტივის სარკეა

თბილისი ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში დილით ცოტა ნაადრევად მომიხდა მისვლა. ფიქრებში წასული მდუმარედ ვათვალიერებდი ქარხნის ვრცელ ტერიტორიას. თან ცალი თვალი უწყვეტ ნაკადად მომავალი მუშებისკენ მეჭირა. ერთ-ერთ მათგანზე რადაქციის დავალებით ნარკვევი უნდა დამეწერა. ვდელავდი, რადგან, საერთოდ, მუშაკაცზე აქამდე დამიწერია და ახლა ყოველი წვრილმანი ეჭვითა და ყოყმანით მავსებდა.

ის-ის იყო დირექტორის მდივან ქალს უნდა გამოელაპარაკებოდი, რომ მოსაცდელში გაშლილი ხახაზე შრიალით საქმიანად შემოიჭრა კეპიანი კაცი და კაბინეტის კარისკენ ჯიქურ გაეგბართა. მაგრამ, რაკი კაბინეტიდან გაზურებული კამათის ყრუ ხმა შემოესმა, შედგა და რაღაცის წერით გართულ მდივანს მიუტრიალდა.

— რა ამბავია, თათბირი აქვს?

— კი.

— რაზე?

— ისევ ამ დაგვიანებებზე!

მდივნის ამ პასუხიდან ცხადი გახდა: გაცდენა-დაგვიანებები და ამ საგანზე მსჯელობა აქ ოცცხელი არ უნდა ყოფილიყო.

კეპიანმა რაღაც ჩაიბუტბუტა და გულმოსული მოსაცდელიდან გავიდა. მდიგანმა ჩემი მისვლის მიზანი დირექტორს რომ აცნობა, მეც „ვიწერო თათბირზე" მიმიწვიეს...

კაბინეტში ცხრა კაცი დამხვდა. ქარხნის დირექტორი ოთარ ჩიგოგიძე, პარტიული კომიტეტის მდივანი ვიქტორ გოგუაძე, მთავარი ინჟინერი გია გოგესაშვილი, პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ომარ შალამბერიძე, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი ზურაბ დვალი, ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარე ცაბუ ბიწაძე, მეკოპეთა ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი გიორგი კურტანიძე, საშუალო სხმულების საამქროს უფროსი არკადი ისაკიანი, ფოლადის სხმულების საამქროს გამომწვავი, საამქრო პარტორგანიზაციის მდივანი იური ძამაშვილი.

— მოწინავე მუშები ბევრი გვყავს, — თქვა დირექტორმა, — მაგრამ დილის ორმა თანამშრომელმა — მჭედლიძემ და ქემოკლიძემ — დაიგვიანა და აი, ჩვენც სასწრაფოდ შევიკრიბეთ გულახდილი ბჭობისათვის, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გავერკვეთ, რა ამბავია ჩვენს თავს, რატომ მოიკოჭლებს შრომისა და სახელმწიფო დისციპლინა და რა წამალი უნდა გამოენახოს ამ მანკიერებას?

იგი წუთით შეჩერდა, კაბინეტში მსხდომთ გადახედა და მიმართა:

— პრესის წარმომადგენლის მოულოდნელი გამოჩენა გულახდილი საუბრის ხალისს ხომ არავის დაგვიკარგავს?

ხმები: არა, არა! რატომ? პირიქით!

ო. ჩიგოგიძე: როგორც ვთქვით, ფილით ორმა თანამშრომელმა დაიგვიანა. ისინი ამით ორმაგ ცოდვას სჩადიან: თვითონ ხომ იჩენენ და იჩენენ უდისციპლინობას და ზოგიერთი მერყეები ბუნების მუშასაც თავის მართლებას სობის აძლევენ — მაგალთ თუ დაიგვიანეს, ჩვენ რაღა ვართო.

ც. ბიწაძე: მე პირადად არ ვამართლებ დაგვიანებულებს, მაგრამ მაინც მხედველობაშია მისაღები: მათ სამი ტრანსპორტის გამოცვლა უხდებათ, ტრანსპორტი კი უხეიროდ მუშაობს, განსაკუთრებით ღილის საათებში...

ო. შალამბერიძე: კი, მაგრამ მჭედლიძესა და ქემოკლიძეს რატომ სხვა დროს არ დაუგვიანიათ, მაშინაც ხომ იგივე გზა ჰქონდათ გამოსავლელი?! როგორც ჩანს, ყველაფრის ტრანსპორტისათვის გადაბრალება სწორი არ არის. ჩემი აზრით, ზოგიერთ დამგვიანებელს იმდენად მანძილის დაძლევა არ უჭირს, რამდენადაც ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა — წინათ 20-30 წუთი დაგვიანებისათვის მაინცდამაინც მკაცრად არ მოჰკითხავდნენ ხოლმე. ჰოდა, ისინიც მეჩვევნენ და კვლავ ძველებურად სწადიათ...

ხმები: მართალს ამბობს, მართალს!

ო. ჩიგოგიძე: დროა, ყველამ შეიგნოს, რომ წარსული წლების ჩვეულები ხელს აღარ მოგცემს, ფონს ვერ გაგვიყვანს! ჩვენი ქარხანა ერთ-ერთი ძველი საწარმოა. იგი 1934 წელს დაარსდა და თავისი სახელოვანი ტრადიციებიც აქვს. მისი შებღალვის უფლებას არავის მივცემთ! მორჩა, წარსულს უნდა ჩავაბაროთ გაცდენა-დაგვიანებანი! შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარშან გამართულ ნოემბრის პლენუმზე, განსაკუთრებით კი მოსკოველ ჩარხმშენებლებთან იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის შეხვედრისას.

ვ. გოგუაძე: მე მთელი პარტიული გულახდილობით უნდა ვაღიარო, რომ, როცა გაზეთში ამ შეხვედრის მასალები წავიკითხე, ბევრ რაზეზე ამეწალა თვალი და პირდაპირ სინდისის ქენჯნა ვიგრძენი.

ზ. დვალი. რატომ?

ვ. გოგუაძე: რატომ და, აბა, გავიხსენოთ, ამ შეხვედრისას რა სერიოზულობით მსჯელობდნენ დროის ფაქტორზე, ყოველი სამუშაო წუთის რაციონალურ გამოყენებაზე. მოდით, ვიყოთ მართლა გულახდილები: ჩვენს საწარმოში წუთების რა რაციონალურ გამოყენებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ზოგიერთი ნასვამი მოდის და მთელი დღე არაფრის გამკეთებელია, ანდა, როცა ქარხნის ხელმძღვანელებს შუა კვირაში ასეთი თხოვნით მოგვმართავენ: შაბათს ნათესავს ან კარის მეზობელს ქორწილი აქვს და ხელი რომ არ წავახმარო, ეწყინება, ერთი ორი-სამი დღით ადგეშვით, შედით ჩვენს მდგომარეობაშიო. თვითკრიტიკით უნდა ვაღიაროო, ვინ მოთვლის, ასეთ და მსგავს შემთხვევებში ჩვენ, ქარხნის ხელმძღვანელები, რამდენჯერ „შევსულვართ მდგომარეობაში" და

გულახდილი ბჭობა დირექტორის კაბინეტში

მაინცდამაინც დიდად არ ადარდებს. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულებით ვერც წარმოების მოცულობას გავზრდით, ვერც შრომის ნაყოფიერებას და ვერც ხარისხს. 3 თებერვლის „კომუნისტში" ხაზგასმით იყო ალნიშნული, რომ თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელს" ზრდად ეხეირო, ფარული დეფექტების სხმულებს ვაწვდით.

ო. ჩიგოგიძე: სახელშეკრულებო დისციპლინას კი ვიცავთ? შარშან ჩვენს ელმავალმშენებლებს საგეგმო 4.503 ტონის ნაცვლად ძლივს მივაწოდეთ 3.951 ტონა ფოლადის სხმული. ესე იგი, დავაკელით 552 ტონა.

გ. გოგესაშვილი: სხვანაირად არც იყო მოსალოდნელი, რადგან უკრაინიდან მაკეევკის, კომუნარსკის და დონეცკის მეტალურგიულმა ქარხნებმა გეგმით გათვალისწინებული 20.610 ტონის ნაცვლად მოგვაწოდეს მხოლოდ 17.300 ტონა თუჯი, როსტოვიდან და კუიბიშევიდან საყალიბე ქვიშის არარიტმულმა მოწოდებამ ხომ პირდაპირ სისხლი გაგვიშრო. სწორედ ამის გამო იყო, რომ გასული წლის ბოლო სამ კვარტალში პრემია ვერავინ მიიღო..

ვ. გოგუაძე: პრემიას ვიღა ჩიგის. როცა „საკლიტმრეწვის" საკავშირო სამრეწველო გაერთიანებამ მოულოდნელი კორექტირება შეიტანა ჩვენს გეგმებში: 1982 წელს თუჯის სხმულების გეგმა გვქონდა 32.000 ტონა, ფოლადის სხმულებისა — 7.300 ტონა. კორექტირების შემდეგ კი ასეთი ციფრები დაგვრჩა: თუჯი — 29.800 ტონა, ფოლადი — 6.550 ტონა. სწორედ ანალოგიურ შემთხვევებზე გაამახვილა ყურადღება ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა მოსკოველ ჩარხმშენებლებთან შეხვედრისას. ყველასათვის ცხადია, მსგავს იძულებითს „კორექტირებას" სახელშეკრულებო დისციპლინის უგულებელყოფა და შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის დაბალი დონე განაპირობებს.

ო. ჩიგოგიძე: ამხანაგებო, თქვენც კარგად ხედავთ, რომ რაზეც უნდა ჩამოვარდეს სიტყვა, ყველა გზას ისევ და ისევ შრომის, საგეგმო, საწარმოო და სახელმწიფო დისციპლინის შედგომი განმტკიცების აუცილებლობისაკენ მივყავართ. ამ საკითხში კი მთავარი და გადამწყვეტი როლი ვის უნდა ეკისრებოდეს, თუ არა პარტიულ ორგანიზაციას, კომუნისტებს. მაგრამ ჩვენს პარტიულ კომიტეტს ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი და მოსაგვარებელი.

ი. ძამაშვილი: პარტიული კომიტეტის მდივანი ჯერ ახალია, მეექვსე თვეა, რაც ავირჩიეთ!

ო. ჩიგოგიძე: ამხანაგო იური, თქვენ ისე გამოესარჩლეთ, თითქოს მე პირადად პარტიული კომიტეტის მდივანს ვესხმოდე თავს. მდივანს რატომ აიგიგეთ მთელ პარტიულ ორგანიზაციასთან?! ერთი კაცი როდი წყვეტს ყველაფერს. კომიტეტის ძველი მდივანი თუ დაანშინარეს და სხვაგან გადაიყვანეს, პარტიული ორგანიზაცია, მისი თეთრმეტკაციანი კომიტეტი ხომ აქ დარჩა?

ც. ბიწაძე. დიახ, აქ დარჩა და არცთუ ურიგოდ ვმუშაობთ. ამას წინათ შეგვიმოწმეს პარტიული მეურნეობა და რაიმე არსებითი ნაკლი არაფერი უპოვიათ.

ზ. დვალი: ეს საქმის ერთი, ფორმალური მხარეა, როცა ოქმები, დადგენილებები, უწყისები ლამაზადაა ჩაწერილებული;

ო. ჩიგოგიძე: არა, თუ მართლა ასე კარგად მუშაობს პარტიული ორგანიზაცია, საწარმოში რატომღა გვყავანან დისციპლინის ამდენი დამრღვევენი?!

ხმები: ვინ არიან?.. არც თუ ისე ბევრნი... დაასახელეთ, თუ შეიძლება!

ო. ჩიგოგიძე: დავასახელებ! ა. პაპუჩელაშვილმა, ლ. ჯიქიამ და ვ. ავდალიანმა სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს. ვ. სასუნკოვი, ი. შუტოვი და ვ. ქოზაევი გამოსაფხიზლებელში მოხვდნენ. ა. მორგუნოვმა კინოთეატრ „საქართველოში" აყალმაყალი ატეხა. გ. ხოჯაევი სისტემატური გაცდენებისათვის, ხოლო ვ. აკინინი გადაბმული ლოთობისათვის სამუშაოდან გავათავისუფლეთ. ვ. ძაღოშვილი და ბ. ქბილეცხლაშვილი თანამშრომლების სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის გავაფრთხილეთ. ქარხნის 15 მეეზოვიდან რვა მათგანი, რომლებიც თავს არიდებდნენ სამუშაოს ყოველდღიურ და ხარისხიან შესრულებას, პროფკომის სხდომაზე გავაფრთხილეთ. სხვადასხვა წვრილმანი დარღვევებისათვის კადრების განყოფილებამ 11 მუშაკს გამოუცხადა საყვედური. 1982 წელს პროფკავშირის კომიტეტში 32 განცხადება შემოვიდა სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ. ჩვენ მხოლოდ ექვსი მთგანის დაყოლიება და შენარჩუნება შევძელით. 26 მუშა მაინც წაგვივიდა. მეტად დამაფიქრებელია, რომ შარშან კადრების დენადობამ 15 პროცენტს გადააჭარბა. შარშან ინჟინერ-ტექნიკური პერსონალიდან საკვანძო სამინისტროს კვალიფიკაციის ასამაღლებელი ინსტიტუტის ერთთვიან კურსებზე გეგმით გათვალისწინებული ცხრა კაცის ნაცვლად დიდი ხვეწნითა და მუდარით ძლივს შევძელით შვიდი კაცის გაგზავნა. განა ეს დისციპლინის დარღვევა არ არის?! თქვენ, ალბათ, ისიც გახსოვთ, რომ რამდენიმე მუშამ ქარხანაში საიდანღაც ფარულად შემოზიდა ამმატუტა და 500-600-კაციანი სუფრისთვის განკუთვნილი სპეციალური მაგიდებისა და სკამების რკინის ფეხების დამზადება დაიწყეს. ჩვენ კი ყოველი წუთი და ყოველი კილოვატი ელექტროენერგია ოქროს ფასად გვიღირს, აქ კი ზოგიერთებმა არალეგალური ქერქო რეწვა გაგვიმართეს!

ც. ბიწაძე: საკადრისადაც დასაჯა ამხანაგურმა სასამართლომ — ისინი სამ-სამი თვით ნაკლებხელფასიან სამუშაოზე გადავიყვანეთ.

ო. ჩიგოგიძე: ერთმანეთს რომ შევადაროთ დამნაშავეთა და უდისციპლინოთა რიცხვი და ჩვენ მიერ გაწეული აღმზრდელობითი მუშაობა, პირდაპირ გაგვაოცებს ასეთი პარადოქსი: საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელობას და პარტიულ ორგანიზაციას ცოტა მუშაობა როდი გაგვიწევია, იდეურ-აღმზრდელობითი და მასობრივ-პოლიტიკური არსენალის საშუალებანი უხვად გამოგვიყენებია. ეს კარგად არის ასახული დოკუმენტებში და მაინც, ამდენი დარღვევებია, უდისციპლინობის ამდენი ფაქტებია. ამიტომ ამ მხრივ ჩვენი მუშაობა თითქოს ჩამოჰგავს ამაო რუდუნებას, ცარიელი აკვნის რწევას. რატომ? იმიტომ, რომ უმეტესად გატაცებულნი ვართ ლამაზი ჩაწერკნეებული ოქმებისა და დადგენილებების თხზვით. ათასნაირ საბუთებს დიდი მონდომებით ვფორმებთ, რათა ზევიდან შემოწმებისას არაფერი ზაგვიწუნონ, ხოლო ცოცხალი საქმე, ქვშმარტი ორგანიზატორული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, ყოველ ადამიანთან შემოქმედებითი, ინდივიდუალური მიდგომა ჩრდილში გვრჩება.

ვ. გოგუაძე: მართალი ბრძანდებით, მეც გულახდილად ვიტყვი, რომ ხშირად არ გვყოფნის დრო, ცოდნა, პარტიული ალღო და გამოცდილება: ზოგჯერ კი, ვინ იცის, იქნებ მოთმინებაც...

ბ. ბიწაძე: საკადრისია ეს ბოლო ამბავი! ეს ერთ-ერთ ძველ ინტერესებთ — ამ დღეებში სპეციალურად პარტიული კრების მოწვევაც მოითხოვეს. მართლაც, როგორ მოვიქცეთ განსაკუთრებული ჭირისა და ლხინის შემთხვევაში?

ო. შალამბერიძე: როგორ და ძალიან მარტივად და სამართლიანად — ან უფასო შვებულებას გაიფორმებს კაცი, ან კიდევ მომავალი შვებულების ანგარიშიდან აიღებს საჭირო დღეებს.

ა. ისაკიანი: მერედა, ორიოდე დღისათვის შვებულება შევამცირეთ? ამა, გავიხსენოთ, როცა ჭირისა თუ ლხინის გამო ვინმე ორიოდე დღით გაგიშვიათ, სამაგიეროდ დანარჩენები ძმურად ამოვდგომივართ მხარში და მისი გასაკეთებელიც ჩვენ გაგვიკეთებია პატიოსნად. აბა, როგორ?! მშვენიერი ანდაზაა: ძმა ძმისთვის, შავი დღისთვისო! (სიცილი).

ზ. დვალი: ჩემო არცრუმ, ეკონომიკას ციფრების ენა უფრო უყვარს, ვიდრე იგავური ტკბილსიტყვაობა. ჩემთვის გაუგებარია და იქნებ თქვენ მაინც ამიხსნათ: თუ გამცდენ-დამგვიანებლების საქმეც დანარჩენებს ძმურად და პატიოსნად გიკეთებიათ, მაშ, როგორა მოხდა, რომ 1982 წელს ჩვენმა ქარხანამ 1036 ტონა 2023 დასახელების წუნდებული სხმული გამოუშვა და ზარალმა 301 000 მანეთი შეადგინა?

გ. გოგესაშვილი: ეარეს ვიტყვი: წლეულს იანვრის გეგმაც ჩაგვივარდა: 1.799 ტონა თუჯის სხმულის ნაცვლად მხოლოდ 567 ტონა გამოვუშვით.

ვ. გოგუაძე: ზარალი ხომ ზარალია, მაგრამ ზოგი მუშის მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობილება უფრო მაღლნებს. თვითონ განსაჯეთ: თუ რომელიმე მუშა ორიოდე დღით არ გავუშვით ნათესავ-მეზობელთან რამე საქმეზე „ხელის წასახმარებლად", ეს მას წარმოუდგენლად მიაჩნია, ხოლო მისი შშობლიური ქარხანა წუნდებულ პროდუქციას რომ უშვებს, გეგმებს რის ვაი-ვაგლახით ასრულებს და სახელშეკრულებო დისციპლინას არღვევს, ცეცლაშვილი თანამშრომლების

მიზანი: აღვზარდოთ მტკიცე პატრიოტ-ინტერნაციონალისტები

ასეთი სათაური აქვს 1982 წლის 23-25 ივნისს თბილისში გამართული საქართველოს იდეოლოგიურ მუშაკთა II თათბირ-სემინარის მასალათა კრებულს. მასში დაწვრილებით არის გაშუქებული რესპუბლიკის იდეოლოგიური აქტივის ამ ფორუმის სამივე დღის მუშაობა, რომლის დროსაც განხილეს მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის შედგომი გაუმჯობესების საკითხები „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად.

კრებულში გამოქვეყნებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა თათბირ-სემინარის გახსნაზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის გ. ნ. ენუქიძის მოხსენება, გამოსვლები პლენარულ სხდომებზე, აგრეთვე თათბირ-სემინარის ფარგლებში გამართული სექციებისა და სადისკუსიო კლუბების სხდომების, კონფერენცია-დიალოგებისა და საქმიანი თამაშების ანგარიშები და რეპორტაჟები.

კრებული, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" მოამზადა საქინფორმის მასალების მიხედვით, მასობრივი ტირაჟით დაიბეჭდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბაში. (საქინფორმი).

თითოეულის საგრძოლო პროგრამა

ჩოხატაური. (საკ. კორ.). პარტიის ჩოხატაურის რაიკომის პოლიტიკური განთლების კაბინეტსა და ეკონომიკური განთლების საკოორდინაციო რაიონული საბჭოს ინიციატივით მხარემცოდნეობის მუზეუმში ჩატარდა ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების პოლიტიკური და ეკონომიკური განთლების სკოლების გაერთიანებული ღია მეცადინეობა თემაზე — „პარტიისა და ხალხის კონკრეტული საბრძოლო პროგრამა!" ძირითადად თემა მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმისა და პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ი. ვ. ანდროპოვის სიტყვის შესწავლას.

მეცადინეობაზე გამოსულებმა — ეკონომიკური განთლების საბჭოს თავმჯდომარემ გ. ყოენტმა, პროპაგანდისტებმა ლ. დოლიძემ, გ. დონიაშვილმა, ჟ. კვეტენაძემ, ეკონომიკური განთლების საბჭოს მდივანმა ო. გიორგაძემ და სხვებმა მსმენელთა აუდიტორიას გაამახვილეს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წინსვლისათვის საჭირო სადღეისო ამოცანების ახლებურად, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე გადაწყვეტის საყურადღებო საკითხებზე.

მეცადინეობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მსმენელებმა. ამასთანავე ისინი გაეცნენ რაიონის ეკონომიკის ამსახველ დოკუმენტებს.

ბოლნისი რაიონი ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკურ ცხოვრებაში იმით არის ცნობილი, რომ დიდძალ საადრეო კარტოფილს აწარმოებს. აქ წელიწადში 50 ათას ტონაზე მეტი საადრეო კარტოფილი მოპყავთ და აქედან ბარე 30 ათას ტონაზე მეტს საკავშირო ფონდში გზავნიან.

რაც შეეხება მეცხოველეობას, ამ დარგში სასიკეთო აღმასვლის საწყის ეტაპად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის მეთვრამეტე პლენუმი, სადაც ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ განაცხადა, რომ საქართველოს შეუძლია გახდეს, უთუოდ უნდა გახდეს და გახდება კიდეც მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა.

ბოლნისელებმა ეს მოწოდება აიტაცეს და შეისისხლხორცეს.

კარგი დასაწყისი გამარჯვების საწინდარია

ზამთარი რომ პასუხსაგები პერიოდია მეცხოველეებისათვის, ეს კარგად იციან ვანის რაიონის სოფელ შუამთის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი გ. ოჩხიკიძე) მეცხოველეებმა (ფერმის გამგე ს. კუტალაძე). წლეულს აქ დიდძალი საკვები დაამზადეს, პირუტყვიც სანიმუშოდ მოვლილი ჰყავდათ. უკრაინული ველის წითელი ჯიშის ძროხები ჩინებულად შეეგუენ აქაურ მიწა-წყალს. შარშან თითოეულ ძროხაზე 2.266 კილოგრამი რძე მიიღეს, რაც ბევრად სჭარბობს ვალდებულებით ნაკისრს. მაგრამ შუამთელებს წლეულს უკეთესად აქვთ საქმე. შარშანდელთან შედარებით ყოველდღიურად 300 კილოგრამით მეტ რძეს აბარებენ სახელმწიფოს. ქეგბის ამსახურებენ მოწინავე მეცხოველეები გ. ღვინიანიძე, დ. სულაბერიძე, რ. ღვინიანიძე, ბ. სულაბერიძე და სხვები.

პირუტყვს სანიმუშოდ აზამრებენ ციხესულორის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ო. ბაზიარი). აქაურმა მეცხოველეებმა შარშან სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს. თითო ფურზე აქ 2.394 კილოგრამი რძე იწველებოდა, ეს ეკონომიკურ მაჩვენებლებს გადავხედავთ, თვალნათლივ დავინახავთ, რომ იმ პერიოდთან შედარებით 23 პროცენტით გაზარდეს საქონლის სულადობა, დღეს აწარმოებენ 20 პროცენტით მეტ რძეს, 41 პროცენტით მეტ ხორცს, 316 პროცენტით მეტ კვერცხს! სოფელ ძირასანის მეფრინველეობის რეპროდუქტორში აწარმოებენ საინკუბაციო კვერცხს და გამოყავთ ჯიშიანი წიწილები, თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკა კი რეკონსტრუქციის შემდეგ ყოველწლიურად იძლევა 800 ტონა ხორცს და 53 მილიონ კვერცხს.

1983 წლის პირველი სამეურნეო თვე დამთავრდა. ბოლნისელმა მეცხოველეებმა ყველა სახეობაში შეასრულეს გეგმები. აქ შეიძლება უნებლიეთ დაიბადოს კითხვა: შაწშანდელი წელიწადი? შარშან აქაურმა მეცხოველეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 1880 ტონა ხორცი, 4200 ტონაზე მეტი რძე, 50 მილიონი ცალი კვერცხი. ეს კი ნიშნავს, რომ ყველა გეგმა გადაჭარბებით შეუსრულებიათ.

ზამთარი, განსაკუთრებით იანვარი, რთული პერიოდია მეცხოველეობაში. როცა მეძროხეობაში ნამატს ელოდებიან, წველადობა კლებულობს. მიუხედავად ამისა, მათ 223 ტონა რძე მიიღეს — შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ერთი ტონით მეტი, სახელმწიფოს კი მიჰყიდეს შარშანდელთან შედარებით 80 ტონით მეტი ხორცი და 3 მილიონ 200 ათასი ცალით მეტი კვერცხი.

რა თქმა უნდა, ამ შედეგების საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ სწორი დამოკიდებულება მეცხოველეობისადმი, რაც პარტიულმა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა მშვენივრად იცით, თუ როგორ და რით უნდა შეიტანონ წვლილი საქართველოს მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკად გადაქცევის საქმეში. დიდი ყურადღებით ეკიდებიან მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, მეცხოველეობის კომპლექსებისა თუ ფერმების მშენებლობასა და დროულ რეკონსტრუქციას, მწყემსთა სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, საღად წარმართავენ სოციალისტურ შეჯიბრებას, ხოლო გამარჯვებულებს ღირსეულად აჯილდოებენ.

ახლაც, როცა მეცხოველეობაში ძნელი, გამოზამთრების პერიოდია, საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომი, აგროსამრეწველო გაერთიანება, სპეციალისტები და მეურნეობათა ხელმძღვანელები დიდ გულმოდგინებას იჩენენ მეცხოველეობისადმი. საქმიანი დათვალიერებით ავლენენ ამა თუ იმ მეურნეობის ფერმის ავ-კარგს.

„განახლება" ახალშექმნილი საბჭოთა მეურნეობაა (დირექტორი — პ. ბუდაგოვი). სასახლურელოა აქაური მეცხოველეების პირველი ნაბიჯები. მშვენივრად იზამორებს მსხვილფეხა პირუტყვი, ღორი. ახლა მეცხვარეობაში ღონეა და „განახლებაში" ფიქრობენ, რომ ყოველ 100 ნერგზე მიიღებენ და შეინარჩუნებენ 90 ბატკანს.

სარაჭლოს საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — ა. ჰასანოვი) დიდძალი საკვები მოიმარაგეს. ბოსლები დროზე შეაკეთეს და ამით პირუტყვის გამოზამთრებისათვის საუკეთესო პირობები შექმნეს. შედეგიც სასურველი აქვთ. იანვრის თვეში სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის გეგმა 107,6, ხოლო ხორცისა — 105 პროცენტით შეასრულეს.

ფახრალოს მეცვენახეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — უ. ჭუსეინოვი) რძის წარმოების გეგმა 104, ხოლო ხორცისა 103 პროცენტით შეასრულეს.

როგორც ყოველთვის, მოწინავეთა შორისაა ქონულოს სანერგე მეურნეობა (დირექტორი — უ. ქართველიშვილი). აქაური მეცხოველეები ტრადიციულად იმაზე მეტ საკვებს იმარაგებენ, ვიდრე სჭირდებათ. ამიტომ რაგინდ სუსხიანი და ხანგრძლივი ზამთარიც უნდა იყოს, იმედიანად არიან. ახლაც სამეურნეო წლის პირველ თვეში რძის წარმოების გეგმა 103, ხოლო ხორცისა 137 პროცენტით შეასრულეს.

როგორც საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ზ. ერაძემ გვითხრა, პირუტყვის გამოზამთრების კარგ ფონზე სპეციალურმა დათვალიერებამ ნაკლიც გამოავლინა. მართალია, აქამდე ნაკლი სწორდება, მაგრამ ნაგვიანევია, რადგან მეცხოველეობის სამეურნეო-ბათაშორისო გაერთიანების ღორების სასუქებელში (დირექტორი — ირ. გოგებაშვილი) სადგომებს მხოლოდ ახლა ათბუნებენ, ღორი კი სიცივეს ვერ იტანს, ამიტომ მეურნეობაში გარკვეული ზარალი ჰქონდათ. დარბაზის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — ვ. მამედოვი) არ ჰყოფნით მწყემსები, რადგან აქ ნაკლებად ზრუნავენ მწყემსთა სამუშაო-საყოფაცხოვრებო პირობების და აუჯობესებაზე. აი, ამ საკითხის მოგვარება მართებთ მეურნეობის ადმინისტრაციულ და პარტიულ ხელმძღვანელებს. პარტიის ბოლნისის რაიკომმა მათ წინადადება მისცა უმოკლეს ხანში გამოასწორონ მდგომარეობა — ბოლნისელი მეცხოველეების საერთო კარგი საქმის ღალატი ახლა არ შეიძლება.

— ხორცის წარმოებაში ჩვენთვის საიმედო რეზერვად იქცა მოსახლეობის კოოპერირებაში ჩაბმა, — გვითხრა ბოლნისის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ ბ. გელერმა, — და ამ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული ციფრები მოიშველია, შარშან კოოპერატორებმა სახელმწიფოს 302 სული საქონელი ჩაბარეს, ამთგან უმეტესობა გასუქებული აქაური მეცხოველეები იყო. კოოპერატორები, ალბათ, წლეულსაც იტყვიან თავიანთ სათქმელს, რამეთუ კოოპერირების სიკეთე კიდევ ბევრი მშრომელი ეტანება.

პირუტყვის გამოზამთრებაში კარგი შედეგები აქვთ ბოლნისელ მეცხოველეებს. თუ გავიხსენებთ, თქმის, რომ კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო, ისინი წლეულსაც პირნათელნი უნდა იყვნენ ხალხისა და ქვეყნის წინაშე.

ჯ. ქურხული.

„კომუნისტის" საკ. კორ.

ნარმაზებაც, ნაკლიც

ბაღმათარი ერთ-ერთი ადგილია, სადაც ბოლო ხანებში ბევრ ახალ-ახალ ფერმა-ფაბრიკა ამოიზარდა. ეს ადგილი ბევრ ადგილზე ადრე ეზაფხულობს. ბაღმათარელ ფერმერებს ადრე ეზაფხულობა ბევრ ადგილზე ადრე ეზაფხულობ. ბაღმათარელ ფერმერებს

4 თებერვალი

ყოველთვიური

ფაქტები მოვლენები საკლესიო იუწყება

წიგნის თარო

მონოგრაფია პარტიის ისტორიის საკითხებზე

„საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემულ კ. ტოტოჩავის მონოგრაფიაში — „ვ. ი. ლენინი და რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო“ გაშუქებულია ბოლშევიკური პარტიის 1912-1917 წლების ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის არალეგალური პარტიული ორგანიზაციების შენარჩუნება და განმტკიცება. მასობრივი რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელობა, პარტიის საგამომცემლო საქმიანობა, ბრძოლა ანტილენინურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ, პარტიის არალეგალური და ლეგალური საქმიანობის შეხამება და სხვ.

მონოგრაფიის მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა, საკითხების ახლებურად დასმის უნარი, წინამორბედი მკვლევარების ზოგ დებულებათა კრიტიკული ანალიზი გვარწმუნებს იმაში, რომ ავტორს ნაყოფიერი მუშაობა გაუწევია, საფუძვლიანად შეუსწავლია ვ. ი. ლენინის ნაშრომები, სკკპ ყრილობებისა და კონფერენციების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი, საარქივო დოკუმენტები, რომლებშიც გასსაზღვრულია რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის, უფლებამოვლენობანი, როლი და ამოცანები. ფართოდ არის გამოყენებული პარტიის გამოჩენილ მოღვაწეთა ნაშრომები, პერიოდული პრესის მასალები, მემუარული და სპეციალური ლიტერატურა. ავტორის მიერ დამოწმებული მრავალი სარწმუნო და მნიშვნელოვანი საარქივო მასალა პირველად გვხვდება სამეცნიერო კვლევის სფეროში, რამაც კიდევ უფრო საინტერესო გახადა სარეცენზიო ნაშრომი.

როგორც ცნობილია, პარტიის VI (პრაღის) კონფერენციამ გაითვალისწინა პარტიაში შექმნილი მდგომარეობა და რუსეთში რევოლუციური მუშაობის ხელმძღვანელობისათვის ოფიციალურად შექმნა რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროო, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ი. ბ. სტალინი, გ. კ. ორჯონიკიძე, ს. ს. სპანდარიანი, ფ. გოლოშჩეკინი და სხვები. ავტორი საზგასმით აღნიშავს, რომ მტკიცე ბოლშევიკური ცენტრის — რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს შექმნა უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა. ბიუროომ წარმართა პარტიის მთელი პრაქტიკული საქმიანობა, პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე გარდაქმნა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა, განამტკიცა დაქსაქსული არალეგალური პარტიული უჯრედები, შექმნა საქალაქო კომიტეტები, სოფლის ბიუროები, მოაწესრიგა არალეგალური ლიტერატურის გამოცემა და გავრცელება. ბიუროო ხელმძღვანელობდა მასების რევოლუციურ გამოსვლებს.

მონოგრაფიაში გაანალიზებულია რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს მუშაობა, გაშუქებულია საქართველოს პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. საინტერესო დოკუმენტური მასალის საფუძველზე ავტორი ვრცლად აშუქებს საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში გამობრძმედილი ბოლშევიკების საქმიანობას საერთო-საოჯახო მასშტაბით.

ავტორი გვიჩვენებს, რომ ვ. ი. ლენინს მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროსთან. ვ. ი. ლენინს ნაშრომებს, რუსეთის ბიუროს სახელზე გაგზავნილ მის წერილებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბოლშევიკური პარტიის განმტკიცებისათვის. მიუხედავად საზღვარგარეთ ყოფნისა, ვ. ი. ლენინი ღრმად სწვდებოდა რუსეთის სოციალ-ეკონომიკურ სინამდვილეს, ჭვრეტდა რევოლუციის განვითარების პერსპექტივებს, იძლეოდა სახელმძღვანელო მითითებებს, რაზმავდა პროლეტარიატს და მშრომელ გლეხობას ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

პროლეტარიატის სოლიდარობისა და მისი რიგების ერთიანობისათვის აუცილებელი იყო ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ შეუნელებელი, პრინციპული ბრძოლა. წიგნში ნაჩვენებია, რომ ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას უთმობდა ეროვნულ საკითხს. მარქსიზმის ისტორიაში მან პირველად შეიმუშავა პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის ეროვნული პროგრამა. ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო აქტიურად იბრძოდა ამ პროგრამის დასაცავად.

კ. ტოტოჩავას მონოგრაფიაში გაანალიზებულია რუსეთის ბიუროს საქმიანობა პირველი მსოფლიო ომის წლებში. გადასახლებაში მყოფმა ბიუროს წევრებმა სავსებით მოიწონეს ვ. ი. ლენინის მიერ მსოფლიო ომთან დაკავშირებით შემუშავებული ტაქტიკა და მთელ მუშაობას მისგან გამიმდინარე ამოცანების შესაბამისად წარმართავდნენ.

უთუოდ ნაყოფიერად მუშაობდა ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო 1917 წლის თებერვლის რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში. მონოგრაფიაში დამოწმებული მასალა გვარწმუნებს, რომ რუსეთის ბიურო ხელმძღვანელობდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ლენინური სტრატეგიითა და ტაქტიკით. ვ. ი. ლენინის შრომებმა, ოფიციალურ ბიუროს მიერ გამოშვებულმა მოწოდებებმა, პროკლამაციებმა, უდიდესი როლი შეასრულა რევოლუციის მომზადებასა და განხორციელება შ ი. სწორედ რუსეთის ბიუროომ შემოიკრიბა თავის გარშემო ბოლშევიკების საუკეთესო ძალები, ხელმძღვანელობა გაუწია მშრომელ მასებს გაფფრეებულ რევოლუციურ ბრძოლებში და გამარჯვებამდე მიიყვანა რევოლუცია.

ავტორი გვერდს არ უვლის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს მუშაობაში არსებულ ცალკეულ ხარვეზებსაც და იქვე დასძენს, რომ მიუხედავად ზოგიერთი არათანმიმდევრული რეზოლუციისა, რუსეთის ბიუროს გადაწყვეტილებები სწორად ასახავდა თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას, პროლეტარიატის ინტერესებს.

როგორც ცნობილია, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს საქმიანობის დასრულების თარიღთან დაკავშირებით აზრთა სხვაობა არსებობს. ზოგიერთის აზრით რუსეთის ბიურო 1917 წლის თებერვლამდე არსებობდა. ზოგიერთი კი რუსეთის ბიუროს გაუქმების თარიღად 1917 წლის მარტს ასახელებს. კ. ტოტოჩავა ასაბუთებს, რომ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო არსებობდა 1917 წლის აპრილამდე, საზღვარგარეთიდან ვ. ი. ლენინის დაბრუნებამდე.

რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს საქმიანობა, რიგიერულად არის გაშუქებული და გაანალიზებული სარეცენზიო ნაშრომში, გარკვეული პასუხია ისტორიის ბურჟუაზიულ ფალსიფიკატორთა მონაჭორების თაობაზე, თითქოს პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ბოლშევიკები არ ეწეოდნენ რევოლუციურ მუშაობას და მათ თითქოს ცარიზმის დამხობამდეც არ მიუღიათ მონაწილეობა. სინამდვილეში კი, როგორც სარეცენზიო ნაშრომშიც არის ნაჩვენები, თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ დაადასტურა ლენინის რევოლუციური სტრატეგიისა და ტაქტიკის, ბოლშევიკური პარტიის ლოზუნგების სისწორე.

კარგად მოფიქრებული არქიტექტონიკა, საკითხების ლოგიკური თანმიმდევრობით განხილვა, დებულებებისა და დასკვნების ავტორისეული დასაბუთება კიდევ უფრო ამაღლებს ნაშრომის მეცნიერულ დონეს. იგი აღნიშნული თემის პირველი სპეციალური მონოგრაფიაა ქართულ ისტორიოგრაფიაში, ინტერესით იკითხება და უშუალოდ ეხმაურება საბჭოთა ისტორიული მეცნიერების სადღეისო ამოცანებს.

ლ. თოიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

ფოთის ექსპერიმენტი

ახლ ეწოდება კრებულს, რომელიც მოამზადეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ და საქართველოს სს რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნამ“. ამ კრებულით იწყება გამოშვებათა სერია რუბრიკით — „ყურადღება: გამოცდილება!“ ამ სერიის გამოცემემა უნდა გაავრცელონ სინტერესო თაოსნობანი, პროპაგანდა გაუწიონ შრომის მოწინავე მეთოდებს, გაიცნონ მკითხველს საყურადღებო ექსპერიმენტები სამეურნეო-სოციალური და კულტურული მშენებლობის დარგში.

გაზეთების „კომუნისტის“, „ზარია ვოსტოკას“, „სოფლის ცხოვრების“, „ახალი კოლხეთის“, „მოლოდიოჟ გრუზიის“, რესპუბლიკის სახტელერადიოს და საქინფორმის მასალები, რომლებიც გამოყენებულია კრებულში, ასახავს ფოთში დაწყებული ახალი სამეურნეო-მმართველობითი ექსპერიმენტის პირველ ნაბიჯებსა და პირველ შედეგებს, რომლის მიზანია ქალაქის ოპტიმალური ეკონომიკური და სოციალური განვითარება, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების რეზერვების აქტიური ამოქმედება.

კრებულები ფოთის ექსპერიმენტის შესახებ მომზადებულია ქართულ და რუსულ ენებზე და მასობრივი ტირაჟით დაიბეჭდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სტამბაში. (საქინფორმი).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით:

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პერსონალური პენსიების დანიშვნელი კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ამბ. ქსენია ალექსანდრეს ასული **გრეგენშჩიკოვა** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წლეულთან დაკავშირებით გალის რაიონის ცხაკაიას სახელობის სიდის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამბ. მიხეილ დიტოს ძე **გერგედავა** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

15 თებერვალი, 1983 წ.

წვლილი მშვიდობის საქმეში

ლონდონი. გამომცემლობა „პერგამონ პრესმა“ ინგლისურ ენაზე გამოუშვა ი. ვ. ანდროპოვის წიგნი „რჩეული სიტყვები და სტატიები“.

სსრ კავშირის ლონდონის საელჩოში გაიმართა წიგნის წარდგენის ცერემონია, რომელსაც დაესწრნენ ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ლიდერი მ. ფუტი, კომპარტიის თავმჯდომარე რ. პალვერსონი, პარლამენტარები, თვალსაჩინო პოლიტიკური, პროფკავშირული და საზოგადო მოღვაწენი, ჟურნალისტები.

წიგნში თავმოყრილია ი. ვ. ანდროპოვის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოსვლები 1964 წლიდან მოყოლებული, მისი მოხსენებები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე და სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთვის გამო კრემლში გამართულ საზეიმო სხდომაზე.

ცერემონიის მონაწილეთა წინაშე გამოსვლისას ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა მ. ფუტმა თქვა: „1983 წელი გახდება მთელი კაცობრიობისათვის დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილება თ ა წელი, რომლის უპირველესი და უმთავრესი საზრუნავია მშვიდობისათვის, გამალებული ბირთვული შეიარაღების წინააღმ დ ე გ ბრძოლა. ჩვენი პლანეტის მშვიდობიანი უბირთვო მერმისის უზრუნველყოფის საქმეში ჯერ კიდევ ბევრი სიძნელე და პრობლემაა. მათ დაძლევაში დაგვეხმარება ი. ვ. ანდროპოვის წიგნის პუბლიკაცია“.

„მთელ რიგ გამოსვლებში ი. ვ. ანდროპოვის მიერ წამოყენებული სამშვიდობო ინიციატივები მნიშვნელოვანი წვლილია მშვიდობის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, — განაცხადა თავის გამოსვლაში ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესის გენერალური საბჭოს წევრმა ა. საპერმა. — საბჭოთა კავშირის ყველა ეს წინადადება და ინიციატივა ჩამოყალიბებულია დღეს აქ წარმოდგენილ წიგნში. სწორედ ეს არის ინგლისურ ენაზე საბჭოთა ხელმძღვანელის სტატიებისა და გამოსვლების გამოქვეყნების უდიდესი მნიშვნელობა“.

დიდი ბრიტანეთის კომპარტიის თავმჯდომარემ რ. პალვერსონმა განაცხადა, რომ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებისა და სტატიების კრებულის გამოცემა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წვლილია ბირთვული საფრთხის წინააღმდეგ, ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ი. ვ. ანდროპოვის ბოლო გამოსვლებსა და მის მიერ წამოყენებულ ახალ სამშვიდობო ინიციატივებს დასავლეთში ხშირად სსრ კავშირის „მშვიდობიან შეტევას“ უწოდებენ. მე მჯერა ამ შეტევის გულწრფელობა, თქვა გამომცემლობა „პერგამონ პრესის“ პრეზ ენტმა რ. მაქსველმა. ძალიან მიდა, რომ დასავლეთის მთავრობებმა დადებითი პასუხი გასცენ საბჭოთა კავშირის ამ ინიციატივებს.

● ვენესუელა

მოწოდება მთავრობისადმი

კარაკასი. სოციალისტური ქვეყნები უდიდეს მეცადინეობას ახმარენ საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებასა და საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებას, ნათქვამია ვენესუელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუციაში.

პლენუმის მონაწილეებმა მოუწოდეს ვენესუელის მთავრობასა და ეროვნულ კონგრესს ხელშეკრულების მონაწილეებმა ბრძოლაში.

პლენუმის მონაწილეებმა მოიწონეს ვენესუელის კომპარტიის საქმიანობის 1983 წლის გეგმა. დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც მოეწყობა მშრომელთა მასობრივ ორგანიზაციებში ესპანეთის კოლონიალიზმის უღლისაგან სამხრეთ ამერიკის ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის გმირის ს. ბოლივარის დაბადების 200 წლისთავის გამო.

● პოლონეთი

საკადრისი პასუხი რევანშისტებს

ვარშავა. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. ოლშოვსკიმ, ვროცლავში გამართულ პარტიონფერენციაზე გამოსვლისას, გააშუქა ზოგიერთი საგარეო-პოლიტიკური საკითხი, კერძოდ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან პოლონეთის ურთიერთობის პრობლემები. მან აღნიშნა, რომ საერთაშორისო ასპარეზზე საქმიანობის პირობები გართულდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს კონფრონტაციის პოლიტიკის შედეგად. რამდენიმე წლის მანძილზე მსოფლიოში მატულობს უარყოფითი ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენები.

ბოლო დროს ამ მოვლენებს აღრმავებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის პოლიტიკასთან დაკავშირებული განცხადებები, რომლებიც არსებითად ნიშნავს იმას, რომ უბრუნდებიან დოქტრინებს გერმანიის ეგრეთ წოდებული „ღიად დატოვებული“ საკითხისა და 1937 წლის ფარგლებში გერმანიის რაიხის არსებობის შესახებ. ეს გვაიძულებს ჩვენ, პოლონელებს, აგრეთვე მთელ საერთაშორისო საზოგადოებრიობას განსაკუთრებული ყურადღება მივაპყროთ ამ პრობლემებს განსაკუთრებით ბონის მთავრობის მინისტრის ციმერმანის განცხადების შემდეგ, რომელმაც განავითარა რა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის წინა საარჩევნო პროგრამის თეზისი, განაცხადა, რომ გერმანია უწინდებურად არსებობს 1937 წლის საზღვრებში. ბოლო დროს ამ რევანშისტულ თეზისებს მხარი დაუჭირა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ზოგიერთმა წევრმა. ეს იმას ნიშნავს, რომ ციმერმანის შეხედულებანი უფრო ფართო პოზიციას ისახავს.

მინისტრმა შემდეგ განაცხადა, რომ თანამედროვე ევროპის რეალიების დაცვასა და შენარჩუნებას ფუძემდებელი მნიშვნელობა აქვს პოლონეთისა და მთელი კონტინენტისათვის. ეს რეალიები მშვიდობისა და ევროპის უშიშროების გარანტიაა. ამ პრინციპების დარღვევა ისეთ შედეგებს გამოიწვევს, რომელთა წინასწარმეტყველებაც კი არ შეიძლება.

სწორედ ახლა, ხაზგასმით აღნიშნა მან, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში დაძაბულობისა და ევროპის მშვიდობისა და უშიშროებისადმი მზარდი საფრთხის ვითარებაში, საჭიროა დაეუბრუნდეთ პოლონეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალურ პრინციპებს — პოლიტიკურ დიალოგს, ეკონომიკური თანამშრომლობის პრობლემების გადაჭრას. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ პოლონეთის პოზიცია ამ საკითხში მთლიანად ემთხვევა საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების პოზიციას, აგრეთვე დასავლეთი ევროპის რეალისტურად მოაზროვნე დაძაბულობის შენელების მომხრე პოლიტიკური ძალების შეხედულებებს.

● კვიპროსი

ს. კიპრიანუ ისევ პრეზიდენტია

ნიკოზია. დემოკრატიულ ძალებს გადამწყვეტი გამარჯვება მოუტანა კვიპროსში პრეზიდენტის არჩევნებმა, რომელიც 18 თებერვალს გაიმართა. მორიგი ხუთწლიანი ვადით რესპუბლიკის პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს სპიროს კიპრიანუ, რომლის კანდიდატურა წამოაყენა დემოკრატიულმა პარტიამ კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესულ პარტიასთან ერთად.

ს. კიპრიანუს ხმა მისცა ამომრჩეველთა 56,54 პროცენტმა. უიდურესი მემარჯვენე დემოკრატიული შეკრების პარტიის კანდიდატმა გ. კლირიდისმა მოაგროვა 33,93 პროცენტი და ერთიანი დემოკრატიული კავშირის ცენტრის კანდიდატმა ვ. ლისარიდისმა მხოლოდ 9,53 პროცენტი.

არჩევნების შედეგები მოულოდნელი არ ყოფილა. მათ დაადასტურეს, რომ კვიპროსელთა უმრავლესობა მხარს უჭერს დემოკრატიული პარტიის — კვიპროსის მშრომელი ხალხის პარტიის კურსს, რომელიც ითვალისწინებს კვიპროსის პრობლემის სამართლიან და მშვიდობიან გადაჭრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ რეზოლუციათა საფუძველზე, რომლებიც ადასტურებენ კვიპროსის დამოუკიდებლობას, ეროვნულ სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

ნიკოზიაში თავისუფლების მოედანზე გამართულ მიტინგზე გამოსვლისას პრეზიდენტმა ს. კიპრიანუმ არჩევნების შედეგებს დემოკრატიის გამარჯვება უწოდა. მან კვიპროსელ ხალხს მოუწოდა შეკავშირდნენ ბრძოლაში კვიპროსის პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტისათვის.

ჯ. კინკლის თვითმკვლელობის დღა

ვაშინგტონი. ჯონ ჰინკლი, რომელიც 1981 წლის მარტში თავს დაესხა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რ. რეიგანს, საავადმყოფოში შეეცადა თავი მოეკლა. ამას იუწყება ასოშიეიტედ პრესის საგენტო, რომელიც იმოწმებს პოლიციის წყაროებს. იგი სასწრაფოდ გადაიყვანეს სხვა საავადმყოფოში. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, ექიმების აზრით, მეტად სერიოზულია. ეს უკვე თვითმკვლელობის მესამე ცდაა მას შემდეგ, რაც ჰინკლი პრეზიდენტს დაესხა თავს.

როგორც ცნობილია, ჯ. ჰინკლი უდანაშაულოდ ცნეს გონებრივი და ფსიქიკური არასრულფასოვნების გამო. შარშან იგი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს.

● მექსიკა

უცვლელი კურსით

მექსიკო. მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბერნარდო სეპულვედამ კვლავ დაადასტურა, რომ უცვლელია ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსი. მექსიკა, განაცხადა მან, აპირებს კვლავაც თანამიმდევრულად დაიცვას მშვიდობა ცენტრალურ ამერიკაში, თავისი საზღვრები, თავისი ტერიტორიის ხელშეუვალობა. უცვლელი დარჩება მექსიკის პოლიტიკაც იმ საკითხში, რომ პოლიტიკური თავშესაფარი მისცენ „ყველას, ვინც დახმარებას ითხოვს“.

მინისტრმა აღნიშნა, რომ მექსიკა არ წამოეგება არავითარ საგარეო პროვოკაციას, რომლებიც მის სამხრეთ საზღვრებთან ეწყობა აქ გვატემალელი ლტოლვილების ყოფნასთან დაკავშირებით. იგი კვლავაც პოლიტიკურ თავშესაფარს მისცემს ათასობით გვატემალელ მოქალაქეს, განაზორციელებს მათი უშიშროებისა და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნის უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებებს.

როგორც ადრე იუწყებოდა მექსიკის გაზეთი „ექსელსიორი“, გვატემალის მხედრიონი ვაშინგტონის წაქეზებით სისტემატურად არღვევს მექსიკის საზღვრებს გვატემალელი ლტოლვილებისათვის ანგარიშის გასწორების მიზნით. ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესებულია, რომ პროვოკაციულად გამოიწვიოს გვატემალა-მექსიკის შეიარაღებული კონფლიქტი, და გამოიყენოს იგი იმისათვის, რომ ხელი იგდოს მექსიკის ნავთობის რესურსები.

კრესპ ადასტურებს

რასისტთა თვითნებობა

პარიზი. „ჩვენ მზად ვართ ჩავერიოთ ყველგან, სადაც თავშესაფარს ჰპოვებენ ტერორისტები“, — განაცხადა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა და ინფორმაციის მინისტრმა რ. ბოტამ. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტი ხელისუფალნი ტერორისტებს უწოდებენ ცინიკურად რასიზმისა და აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლ ნამიბიელ და სამხრეთაფრიკელ პატრიოტებს, აგრეთვე ნამიბიისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ლტოლვილებს, რომლებიც სამხრეთ აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე გამოექცნენ რასისტთა დევნას. ეს მთელი სიცხადით მოწმობს, თუ როგორი იქნება პრეტორიის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება 1983 წელს, წერს პარიზის ჟურნალი „ენენ აფრიკი“.

ლიბანში ისრაელის ინტერვენციის მაგალითით შეგულიანებული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტი ხელისუფალნი, ყოველივე ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამკამად დარწმუნებული არიან, რომ აპარტეიდის სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ მათი დამსჯელი ექსპედიციები საერთაშორისო ასპარეზზე არაფერს არ გამოიწვევს სიტყვიერი პროტესტების გარდა. სანამ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების სთათვეში იქნება რ. რეგანის ადმინისტრაცია, რომელიც მხარს უჭერს პრეტორიის რასისტებს, აღნიშნავს ჟურნალი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ პ. ბოტას სრულიად დაუსჯელად შეუძლია ერეოდეს მეზობელი ქვეყნების საქმეებში.

● საფრანგეთი

კოლოკვიუმი დამთავრდა

პარიზი. სორბონაში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის კოლოკვიუმმა, რომელიც მიეძღვნა სტალინგრადთან გამარჯვების 40 წლისთავსა და გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლებში „ნორმანდია-ნემანის“ ავიაპოლკის ფრანგ მფრინავთა მონაწილეობას.

ორი დღის მანძილზე ამ სახელგანთქმული პოლკის ვეტერანები, საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილენი, მეცნიერები, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწენი საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის დელეგაციის წევრებთან და სამხედრო ისტორიკოსებთან ერთად განიხილავდნენ სტალინგრადის ბრძოლის, ამ წლებში საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში დამყარებული ფრანგი და საბჭოთა ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის სამხედრო-პოლიტიკური და საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხებს.

კოლოკვიუმის მონაწილეებმა მიიღეს ერთობლივი დეკლარაცია.

თანამშრომლობის კანონით

ეხმარებიან პლანტაციების აღდგენაში

კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის კამპონგჩამის პროვინციაში კაუჩუკის პლანტაციების აღდგენაში კამპუჩიელ მეგობრებს დიდ დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირი. საბჭოთა ქვეყნის დახმარებით აქ უკვე აღადგინეს ათასობით ჰექტარი პლანტაცია, ქალაქ ჩუპში კვლავ ამოქმედდა ლატექსის გადასამუშავებელი ფაბრიკა.

რთულ კლიმატურ პირობებში გამართულად მუშაობს საბჭოთა ტექნიკა (სურათზე ქვემოთ), რომლითაც დაკომპლექტებულია პოლპოტელთა მიერ განადგურებული ჩუპის ფაბრიკის ავტოპარკი.

სურათზე: (ზემოთ): კამპუჩიის დედაქალაქ პნომპენის ერთ-ერთი კუთხე.

საკადესის ფოტო.

მაღრიდი:

უნდა დადასტურდეს ჰელსინკის გზა

მადრიდის შეხვედრას — ამ პასუხსაგებ საერთაშორისო ფორუმს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ რა გზით განვითარდება მოვლენები მსოფლიოში: საერთაშორისო ვითარების ნორმალიზაციისა და ომის საფრთხის შემცირების გზით, თუ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი გამწვავების გზით. ახლა ევროპაში არსებული ვითარება განსაკუთრებით მოითხოვს სახელმწიფოთა მეცადინეობის გაერთიანებას, დაძაბულობის შენელების, მშვიდობისა და განიარაღების პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელების მიზნით. ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის, რომ გაგრძელდეს და გაღრმავდეს ამისათვის გამიზნული მრავალმხრივი პროცესი, რომელიც ჰელსინკში დაიწყო შვიდნახევარი წლის წინათ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირით.

სოციალისტურ ქვეყნების ერთსულოვნად მიიჩნიათ, რომ მადრიდის შეხვედრაზე განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა ევროპაში ნდობისა და უშიშროების განმტკიცებისა და განიარაღების ღონისძიებათა შესახებ კონფერენციის მოწვევის თაობაზე მორიგების მიღწევას. ასეთმა კონფერენციამ დიდი წვლილი უნდა შეიტანოს სამხედრო კონფრონტაციის შესუსტებაში, უნდობლობის შემცირებაში, მსოფლიო სამ რაიონში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შეკვეცის საკითხთა გადაწყვეტაში. სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმასაც, რომ მადრიდის შეხვედრამ დადასტუროს მისი მონაწილე სახელმწიფოთა გადაწყვეტილება, პატივი სცეს და გამოიყენონ ჰელსინკში მიღებული სახელმწიფოთა ურთიერთობის პრინციპები, საბოლოო აქტის ფორმისა და შინაარსის შესაბამისად განსაზღვროს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ და სხვა დარგებში თანამშრომლობის განვითარების ღონისძიებანი.

საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა ყოველი ღონე იხმარეს იმისათვის, რომ მადრიდის შეხვედრის წინ შეექმნათ მისი წარმატებით დამთავრების ხელშეწყობი ვითარება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვისა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მიერ წამოყენებული ახალი სამშვიდობო ინიციატივების შედეგად საერთაშორისო ასპარეზზე შესამჩნევი ძვრები ხდება. მნიშვნელოვნად გააქტიურდა მასობრივი რაკეტსაწინააღმდეგო მოძრაობა. დასავლეთის ფართო საზოგადოებრიობის წრეებში მწიფდება აზრი, რომ ახლა ამერიკის ჯერია და რომ უკვე ვეღარავის შეიყვანს შეცდომაში ცდები, თავი აარიდონ საბჭოთა კავშირის წინადადებას საშუალო სიშორის ბირთვული საშუალებების რადიკალური შემცირებისა და შეზღუდვის შესახებ.

ამ თვალსაზრისით ერთობ მჭეკრეტყველურია ამერიკის ჟურნალის „ი. ს. ნიუს ენდ უორლდ რიპორტის“ აღიარება, რომელიც ცნობილია თავისი მკაცრი ანტისაბჭოთა პოზიციებით. „საბჭოთა ხელმძღვანელი ანდროპოვი, — წერს ჟურნალი, — აგროვებს ძალებს თავისი კომპრომისული წინადადებებითა და 28 იანვარს გამოქვეყნებული ცენტრალური ევროპაში უბირთვო ზონის შექმნის გეგმით. თუ შეერთებული შტატები ევროპაში არ გაანალაგებს საშუალო სიშორის იარაღს, საბჭოთა კავშირი თავის არსენალს შეამცირებს 162 რაკეტამდე, ანუ ზუსტად იმ რაოდენობამდე, რომელიც აქვთ ინგლისისა და საფრანგეთის ბირთვულ ძალებს. თუმცა შეერთებულმა შტატებმა უარყო ეს წინადადება როგორც მიუღებელი, რუსებს შეუქმეს მოქნილობა, რომელიც უპირატესობას ანიჭებს მათ ამერიკის მხარესთან შედარებით“.

თავისი რეპუტაცია რომ აღედგინათ და გადაერჩინათ რეგანის ყბადაღებული „ნულოვანი“ ვარიანტი, რომელიც საბჭოთა კავშირის ცალმხრივ განიარაღებას ითვალისწინებს, დასავლეთ ევროპის შიდ ქვეყანაში სამოგზაუროდ გაგზავნეს ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ბუში. ამ ვოიაჟის წმინდა პროპაგანდისტულ ხასიათზე ერთობ გულახდილად წერდა ინგლისის გაზეთი „ფაინენშლ ტაიმსი“: „აუდიტორია, რომელსაც ახლა მნიშვნელ ო ბ ა აქვს, ეს არ არის არც ქალბატონი ტეტჩერი ინგლისში და არც კანცლერი კოლი დასავლეთ გერმანიაში, რომლებიც კვლავ ხატოს პოლიტიკის ერთგულები არიან. არც ჰოლანდიისა და ბელგიის პრემიერ-მინისტრები, რომელთა ნება და მერყეევი პოზიცია საეჭვოა, რომ უფრო მყარი გახდეს ბუშის მჭეკრმეტყველების გავლენით. აუდიტორია, რომელსაც მნიშვნელობა აქვს, ეს არის ევროპის საზოგადოებრიობა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დასავლეთ გერმანიის ამომრ

მიეძღვნა პუშკინის ხსოვნას

პუშკინის შემოქმედება დიდი ხანია ხალხის სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. პოეტის ნათელი გენია ყველა ჩვენგანის ცხოვრების თანამგზავრია. იგი გვეპირდება როგორც მრჩეველი, როგორც მასწავლებელი, ერთგულებისა და ვაჟკაცობის მაგალითი.

პუშკინი უყვართ, ახსოვთ, მარად ეყვარებათ და ემახსოვრებათ.

10 თებერვალს — რუსეთის დიდი შვილის ტრაგიკული დაღუპვის დღეს, პუშკინის პოეტური გენიის თაყვანისმცემლები მოვიდნენ პოეტის ბრინჯაოს ძეგლთან, რომელიც თბილისში, მისი სახელობის სკვერში დგას, და ყვავილებით შეამკეს იგი.

შემდგ საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დარბაზში გაიმართა პუშკინის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეხვედრა. შეხვედრაში მშვიდობის დაცვის რესპუბლიკურ კომიტეტთან, ლიტერატურული ურთიერთობის სახლთან და საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის აქტივთან ერთად მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის, სამხატვრო აკადემიის სტუდენტები, მოსწავლეები. შეხვედრაზე მიიწვიეს ა. ს. პუშკინის თბილისელი შთამომავალი — ვ. სვანიძე, რომელიც ალექსანდრე ალექსანდრეს ძე პუშკინის ქალიშვილის ბადიშვილია, მ. ი. ლერმონტოვის ნათესავები — აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის ოჯახის წევრები.

ლიტერატურულ საღამოზე წაიკითხეს პუშკინის უკვდავი ქმნილებები, დიდი პოეტისადმი მიძღვნილი ლექსები, მისი ნაწარმოებების თარგმანები.

პუშკინის შემოქმედების ცოცხალ ტრადიციებზე, საქართველოსთან მის მჭიდრო ურთიერთობაზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში თეატრალური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ვ. კერვალიშვილმა, ამავე ინსტიტუტის ფილოლოგიის კათედრის რუსული ლიტერატურის ისტორიის მასწავლებელმა დ. კანდელაკმა, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელმა თ. მახარაძემ, დაღესტნის სახალხო მხატვარმა და საქართველოს დამსახურებულმა მხატვარმა მ. მაგომედოვამ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერმა თანამშრომელმა ბ. დადიან-მასხარაშვილმა, სამსახიობო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმა ნ. ლომიძემ, კულტსაგანმანათლებლო ფაკულტეტის სტუდენტმა ნ. მუკბამ, დეკანის მოადგილემ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მ. სემიონოვმა.

კონსერვატორიის სტუდენტებმა შეასრულეს რუსი და ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები.

პოეზიის დღესასწაულში მონაწილეობდნენ თურქმენეთიდან, დაღესტნიდან, ჩაჩნეთ-ინგუშეთიდან ჩამოსული სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის ეროვნულ ჯგუფებში.

მსმენელები გულთბილად შეხვდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტს თამარ იშხნელს, რომელმაც იმღერა ძველი რუსული რომანსები, წაიკითხა ა. ს. პუშკინის ლექსები. (საქინფორმი).

● ●

სურათზე: ცოცხალი ყვავილები პოეტის ძეგლთან.

ბ. დვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დღის წესრიგშია სპარტაკიადა

სსრ კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადისათვის ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა მზადებასთან დაკავშირებით დღევანდელი საუბარი ეხება ფეხბურთს. ამის თაობაზე გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ავთანდილ ჭკუასელს.

ფეხბურთი

გულშემატკივრებმა უკვე იციან, რომ ფეხბურთელთა სახპარტაკიადო ტურნირში ამჯერად ახალგაზრდული შემადგენლობები ითამაშებენ. ითამაშებენ 1963 და შემდგომ წლებში დაბადებული ფეხბურთელები. სპარტაკიადისათვის შეხარჩევი ამ ასაკის მოთამაშეები ჩვენს რესპუბლიკაში ძირითადად უმაღლესი, პირველი და მეორე ლიგის გუნდებში არიან თავმოყრილი. ნაკრები გუნდის ბირთვი თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდა ფეხბურთელთა ჯგუფი იქნება. ამჟამად სახპარტაკიადო გუნდში არიან: მეკარეები — დ. კუცია და დ. ჭანტურია (ორივე თბილისის „დინამო“). მინდვრის მოთამაშეები— გ. დოჩია, თ. მურჯიანელი, მ. არზიანი, გ. გურული, ო. ლოგუა, ს. ჭედია, გ. გოგრიჭიანი, ლ. ბარათაშვილი, მ. მახარაძე, დ. კუდინოვი, მ. მიქაბერიძე (ყველანი — თბილისის „დინამო“), ნ. ჭელიძე, ა. ბარაქაძე (ორივე — ჭუთაისის „ტორპედო“), დ. სანიკიძე (ლანჩხუთის „გურია“), გ. ბერაძე, ო. შენგელია (ორივე — სამტრედიის „ლოკომოტივი“) და სხვები.

ამის გამო, რომ თბილისის „დინამოს“ მწვრთნელებს საკმაოდ დიდი სამუშაო აქვთ — სსრ კავშირის ჩემპიონატი, სსრ კავშირის თასის გათამაშება, ნავარაუდევია უეფას ტურნირში მონაწილეობაც, — გადაწყდა გუნდი მოამზადონ სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. ელოშვილმა (უფროსი მწვრთნელი), სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ზაზროევმა და ა. ილიადმ. გუნდის უფროსად დანიშნულია საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი კ. ყრუაშვილი, გუნდის ექიმად თ. ქუთათელაძე. ამრიგად, ჯერჯერობით ორგანიზაციული საკითხების მხოლოდ ერთი ნაწილი გვაქვს მოგვარებული. სპარტაკიადამდე ნაკრები შეთამაშების მიზნით ხანგრძლივ ერთობლივ წვრთნას გაივლის. ჩვენი ფეხბურთელები ქვეჯგუფში ლენინგრადის, ტაჯიკეთის და მოლდავეთის გუნდებთან ერთად ითამაშებენ ქალაქ ივანოვოში. იმედია, ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელები უეჭველ გააკეთებენ იმისათვის, რომ თავი არ შეირცხვინონ, იბრძოლონ ისე, როგორც მათმა წინამორბედებმა შედარებით უფროსი თაობის წარმომადგენლებმა ითამაშეს წარსულ სპარტაკიადაში.

სახეობის საპატიო ბარათი

საქართველოში ფეხბურთის თამაში მეოცე საუკუნის დამდეგს დაიწყეს. თავდაპირველად ამ სახეობის სპორტმა ფეხი მოიკიდა ბათუმში, ფოთსა და სოხუმში. პირველი ორგანიზებული გუნდები 1905-1906 წლებში შეიქმნა. თბილისში პირველი ოფიციალური შეჯიბრება გაიმართა 1912 წელს. ამავე წელს თბილისში მოეწყო პირველი საერთაშორისო მატჩი „სოკოლსა“ და ინგლისის გუნდს შორის. 1925 წელს თბილისში „დინამოს“ საქალაქო საბჭოსთან შეიქმნა გუნდი და მას შემდეგ „დინამომ“ საინტერესო გზა განვლო საყოველთაო აღიარებამდე. 1936 წლიდან სსრ კავშირის პირველობათა გათამაშებას მიეცა დასაბამი და მას შემდეგ თბილისის „დინამო“ უმაღლესი ლიგის უცვლელი ბინადარია. უმაღლეს ლიგაშია ქუთაისის „ტორპედო“, პირველ ლიგაში თამაშობს ლანჩხუთის „გურია“, მეორეში — რესპუბლიკის 6 გუნდი. ამ მოკლე სავიზიტო ბარათში შეუძლებელია ქართველ ფეხბურთელთა მრავალი წარმატების აღნუსხვა, მაგრამ მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ თბილისის დინამოელები ორჯერ იყვნენ სსრ კავშირის ჩემპიონები (1964 და 1978 წლები), ორჯერ — საკავშირო თასის მფლობელები (1976 და 1979), 1981 წელს დინამოელებმა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი მოიპოვეს, მათს ბაზაზე დაკომპლექტებულმა ნაკრებმა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში ორჯერვე მეორე ადგილები დაიკავა (სპარტაკიადების პროგრამაში ფეხბურთი აქამდე მხოლოდ ორჯერ იყო შეტანილი: 1956 და 1979 წლებში). ქართველ ფეხბურთელებს არაერთხელ წარმატებით დაუცავთ საბჭოთა ნაკრების ღირსება უცხოეთის გუნდებთან ასპარეზობებში.

კინოსიმფონია უკვდავების შესახებ

ნახევარი საუკუნის წინათ, 1933 წლის 19 თებერვალს გაიმართა. ქართველი რეჟისორის ნიკოლოზ შენგელაიას მიერ გადაღებული მხატვრული ფილმის „ოცდაექვსი კომისრის“ პრემიერა. პრესამ რეჟისორის ჩანაფიქრს უწოდა გრანდიოზული, ხოლო ფილმის ავტორს — კინემატოგრაფიის ბალზაკი. ფილმის გამოსვლა რევოლუციის შემდგომი პირველი წლების კულტურული ცხოვრების მკაფიო მოვლენა გახდა. ბაქოს პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის მატიანის ერთ-ერთი სახელოვანი ფურცლის ეკრანზე გაცოცხლებით ნიკოლოზ შენგელაიამ შექმნა ამაღელვებელი მხატვრული ტილო.

...ისინი ოცდაექვსნი იყვნენ, რომლებიც რევოლუციის მტრებმა მხეცურად დახვრიტეს კასპიის ზღვის გიგა ქვიშის ბარხანებში. მათ შორის ყველაზე უფროსი — მეშადი აზიზბეკოვი 42 წლისა იყო, ყველაზე უმცროსი — ანატოლი ბოგდანოვი 22 წლისა. ე. ი. ლენინის ერთგული მოწაფეებისა და თანამებრძოლების მთელი გმირული ცხოვრება, მუშათა კლასის, მთელი მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის დაუღალავი ბრძოლა თანამედროვეთათვის უდიდესი მაგალითია, რომლებიც მოწოდებული არიან მაღალი ატარონ ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა.

ნიკოლოზ შენგელაიას ფილმში მონაწილეობდნენ გამოჩენილი მსახიობი ვერიკო ანჯაფარიძე, მსახიობები კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, მიხეილ აბესაძე, ცნობილი უკრაინელი რეჟისორი იგორ სავჩენკო და სხვები...

ამ ფილმმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლზე თავისი გაქანებითა და მასშტაბურობით. ა. დოვჟენკო და ვ. პუდოვკინი ამ ფილმის შესახებ ამბობდნენ, რომ იგი საბჭოთა კინემატოგრაფის უდიდესი მიღწევაა. „საქმე გვაქვს ისტორიული ეპოქის თავისებურ, ღრმა, სეროზულად მოფიქრებულ, სწორად გადაწყვეტილ, განათლებული ბოლშევიკის მიერ გადაღებულ ფილმთან“, — წერდა ა. დოვჟენკო. „ისტორიული მოვლენების მასშტაბით ფილმი „ოცდაექვსი კომისარი“ შეიძლება ეიზენშტეინის „ოქტომბრის“ გვერდით დავაყენოთ“, — წერდნენ კინოკრიტიკოსები.

და აი, ნახევარი საუკუნის შემდეგ კინოსიმფონია 26 ბაქოელი კომისრის შესახებ კვლავ გამოვა ეკრანზე. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დუბლაჟისა და აღდგენილი ფილმების შემოქმედებითმა გაერთიანებამ კინოფილმს ახალი სიცოცხლე დაუბრუნა: აღდგენის რეჟისორია ლეილა მიქელაძე, კონსულტანტები — ნიკოლოზ შენგელაიას შვილები — ცნობილი კინორეჟისორები ელდარ და გიორგი შენგელაიები. ფილმში გამოყენებულია გამოჩენილი კომპოზიტორის დმიტრი შოსტაკოვიჩის სიმფონიის ნაწყვეტები.

— აღდგენილი ფილმი, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა, კინომცოდნემ გიორგი დოლიძემ, — მაყურებელს საშუალებას მისცემს ერთხელ კიდევ გაეცნოს რევოლუციის რაინდთა ლეგენდარულ ცხოვრებას. ნახევარი საუკუნის წინათ გადაღებული ფილმი დღესაც უალრესად თანამედროვეა, რადგანაც პარტიისა და ხალხის საქმისათვის თავდადება უკვდავია, როგორც უკვდავია ბაქოელი კომისრების თვით ცხოვრება და გმირობა. ავტორისეული ჩანაფიქრის, დრამატურგიული ასპექტების, ფილმის შინაარსის გაჩენაში დიდი როლი შეასრულა ზოსტაკოვიჩის მუსიკამ. დღეს განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით ვიხსენებთ ნიკოლოზ შენგელაიას, ოპერატორ ე. შნეიდერს, მხატვარ ვ. ადენს, თანარეჟისორ ს. კეკორკოვს — შემქმნელებს ფილმისას, რომელსაც სიბერე არ უწერია. ეს სურათი ხალხთა მეგობრობის ისტორიის, მოძმე კულტურათა მჭიდრო შემოქმედებითი თანამშრომლობის ბრწყინვალე ფურცელია.

უკვე მზად არის აღდგენილი ფილმის ორი ვარიანტი ტიტრებით რუსულ და ინგლისურ ენებზე.

● ●

ანსამბლის იუბილე

აფხაზეთის ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლს 50 წელი შეუსრულდა. ამ მოკლენის მიეძღვნა საიუბილეო საღამო, რომელიც აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის შენობაში გაიმართა.

იუბილარ კოლექტივს მიესალმნენ აფხაზეთის სსსრ კულტურის მინისტრი ა. არღუნი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახელით ილაპარაკა მუსიკათმცოდნემ ა. წულუკიძემ. სიტყვებით გამოვიდნენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

აფხაზეთის ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი, საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსსრ სახალხო არტისტი ვ. ცარგუში დამსწრეთ ესაუბრა კოლექტივის მიერ განვლილ გზაზე, სახელოვან ტრადიციებზე, რომლებითაც ასე მდიდარია ამ შემოქმედებითი კოლექტივის ხელოვნება. სასიხარულოა, — აღნიშნა მან, რომ ანსამბლი წარმატებით განაგრძობს დიდებულ ტრადიციას, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს აფხაზი და ქართველი ხალხების საუკეთესო შვილებმა. იგი თავის საშემსრულებლო ხელოვნებით, მრავალფეროვანი რეპერტუარით ძმობისა და მეგობრობის პროპაგანდისტია. ანსამბლს ყველა პირობა აქვს შექმნილი შემოქმედებითი ზრდისა და პროფესიული დახელოვნებისათვის.

იუბილარმა გუნდმა შეასრულა აფხაზური, ქართული, რუსული და სხვა მოძმე ხალხთა სიმღერები, და ცეკვები.

საიუბილეო საღამოს ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა, აფხაზეთის სსსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. კობახია, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. უბილავა და სხვა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

ი. გოგებჩია.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეები — 99-93-08, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარძსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-53, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ძალლები და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, აღდგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-25-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 421-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-32; ქუთაისი — 5-26-36; ბორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.

ნორჩი ქართველი მხატვრის გამოფენა

ლენინგრადი. ახალგაზრდა თანამედროვის მდიდარ სულიერ სამყაროს გადაგვშლის თვალწინ საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის დათო კრაწაშვილის ნაწარმოებები, რომლებიც წარმოდგენილია ლენინგრადის ერთ-ერთ საუკეთესო საგამოფენო დარბაზში—ახალგაზრდობის სასახლეში 12 თებერვლს გახსნილ გამოფენაზე. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია ოთხასზე მეტი ფერწერული ტილო, აკვარელი, გრაფიკული ნახატი. ეს ნორჩი მხატვრის შემოქმედებითი მემკვიდრეობის თითქმის ნახევარია. — სამწუხაროდ, ჩვენ ნიჭიერი ქართველი მხატვარი ალმოვაჩინეთ მისი უდროოდ გარდაცვალების შემდეგ,— თქვა გამოფენის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ლენინგრადელმა ხელოვნებათმცოდნემ როზა ბუზოევამ. — დათოს ნახატები გვაჯადოებს პოეტიურობით, ადამიანურ გრძნობათა სამყაროს ღრმა წვდომით, სახეთა ფილოსოფიური განზოგადებით. ჩვენს ქალაქში პირველად წარმოდგენილმა ამ ნამუშევრებმა ლენინგრადელ მხატვართა და ხელოვნების მოყვარულთა დიდი ყურადღება მიიპყრო.

დათო კრაწაშვილის ნაწარმოებების გამოფენით გაგრძელდა ლენინგრადელებისათვის მოკავშირე რესპუბლიკების სახვითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრების გაცნობა, საბჭოთა კავშირის საიუბილეო წელს რომ დაიწყო ახალგაზრდობის სასახლეში.

„კომუნისტის“ და საქინფორმის კორესპონდენტები გვპატიჟობენ ეწვიონ

ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔᲑᲘ

საკავშირო სიმპოზიუმი ეროვნულ ლიტერატურათა ურთიერთობის საკითხებზე

მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ფორმირებისა და განვითარების ერთ-ერთი აქტუალური პროცესი, ეროვნულ ლიტერატურათა ურთიერთობებისა და ურთიერთგამდიდრების პრობლემატიკა განდა მსჯელობის საგანი მეორე საკავშირო სიმპოზიუმისა, რომელსაც რამდენიმე წლის წინათ ჩაუყარა საფუძველი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურისა და მხატვრული თარგმანის კათედრამ (გამგე — პროფესორი ო. ბაქანიძე) და მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის საბჭოთა ლიტერატურის განყოფილებამ (გამგე — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. ლომიძე). სულ ახლახან პირველი სიმპოზიუმის „სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურული თანამგობრობის“ მასალათა კრებული ცალკე წიგნად რუსულ ენაზე დაბეჭდა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ. ამ ფაქტის პარალელურად კვლავ შეიკრიბა მეცნიერ-ფილოლოგთა მეორე საკავშირო ფორუმი. თუ პირველ სიმპოზიუმს მხოლოდ მოსკოვისა და თბილისის მოთავე სამეცნიერო დაწესებულებანი წარმართავდნენ, ამჯამად მათთან ერთად მეორე სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ რუსეთის სფსრ რესპუბლიკის, უკრაინისა და სომხეთის უნივერსიტეტებისა და მეცნიერებათა აკადემიებში მოღვაწე ლიტერატურათმცოდნეები. სტრუქტურის თვალსაზრისით, სიმპოზიუმისა სიმპოზიუმის მომავალი პერსპექტივებიც: განზრახულია სიმპოზიუმის გეოგრაფიული არის თანდათანობითი გაფართოება, სხვადასხვა წლებში წარმოდგენილი იქნება ახალი რეგიონები: შუა აზია, ბალტიისპირეთი, ჩრდილოეთ კავკასია და ა. შ.

როგორც საკავშირო სამეცნიერო პრესამაც აღნიშნა, მოსკოვის, ლენინგრადის და ეროვნული რესპუბლიკების სამეცნიერო კონტაქტებისა და კავშირურთიერთობის გაფართოება, რეგიონალური და საკავშირო კონფერენციები, გასვლითი ღონისძიებანი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სამეცნიერო ძალების კონსოლიდაციას, მიმდინარე ლიტერატურული პროცესებისა და ისტორიულ-ლიტერატურული მოვლენების შეფასებაში საერთო მეთოდოლოგიური კრიტერიუმების შემუშავებას. ასეთი თანამშრომლობისა და ერთობლივი კვლევის შედეგია ისეთი ფუნდამენტური გამოკვლევა, როგორიც არის საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურის ისტორია 6 ტომად (7 წიგნი), სადაც წარმოდგენილია ჩვენი ქვეყნის ეროვნული მწერლობის მქონე ყველა ლიტერატურა, 42 სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრის მიერ შესწავლილი და ერთიან ძმურ კავშირში განხილული, თბილისში რეგიონალური სამეცნიერო ფორუმების საფუძველზე შეიქმნა ისეთი მნიშვნელოვანი გამოცემები, როგორიც არის „ქართული და რუსული შუა საუკუნეების ლიტერატურა“ (1979 წ.), „სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურული თანამეგობრობა“ (1982 წ.) და სხვა.

ამჯერადაც უაღრესად საინტერესო იყო უკანასკნელ სიმპოზიუმზე განსახილველად წარმოდგენილი პრობლემები, სამეცნიერო კვლევის შედეგები, ზოგიერთ შეხედულებათა ახლებური კონცეფცია, მიმდინარე ახალი, ცოცხალი შემოქმედებითი პროცესების განეზისის საკითხები და სხვა. საინტერესო აღმოჩნდა ავრეთვე ცალკეულ მოხსენებებში მოხმობილი ქართული მასალა, ქართველ მწერალთა და მეცნიერთა ნაღვაწის შეფასება და გაზიარება.

სიმპოზიუმის თემატიკისა და დანიშნულების არსი თავისთავად წარმოადგენს მომძე ერების ხალხთა და ლიტერატურათა დაახლოებისა და მეგობრობის მძლავრ ფაქტორს. ამიტომაც როგორც წმინათ, ამჟამადაც მისი შემოქმედების არე დედაქალაქის გარდა გადატანილ იქნა საქართველოს სხვადასხვა რაიონის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებში. თუ პირველი სიმპოზიუმის მონაწილენი ეწვივნენ დასავლეთ საქართველოს, ამჟამად სიმპოზიუმის ობიექტები აღმოსავლეთ საქართველოს სამი რაიონი გახდა.

სიმპოზიუმის გამსვლელი სხდომები გაიმართა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტსა და ი. ჭავჭავაძის სახელობის სახლ-მუზეუმში.

სიმპოზიუმის გამსვლელი სხდომების მოწყობა შემოქმედებითი ურთიერთგამდიდრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. სტუმრები ეცნობიან ქართული ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის საუკეთესო მონაპოვარს, ცოცხალ შემოქმედებითს პროცესებს, ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს, მოხსენებებსა და მწერალთა შემოქმედებაში ასახულ ქართულ რეალურ სამყაროს. ალ. ჭავჭავაძის, ი. ჭავჭავაძის და გ. ლეონიძის მემორიალურ სახლ-მუზეუმში გამართულ იმპროვიზებულ სხდომებზე აღინიშნა რუსი და ქართველი მწერლების თანამეგობრობის დიდი ტრადიციები: წინანდალში ალ. გრიბოედოვის, ალ. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, დეკაბრისტთა ერთი ჯგუფის მეგობრული ურთიერთობა ალ. ჭავჭავაძესთან, საგურამოში ი. ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლი „თერგდალეულების“ ლიტერატურულ-რევოლუციური წრითობა პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტების კედლებში, დიდ რუს რევოლუციონერ-დემოკრატებ თ ან მათი შემოქმედებითი კონტაქტები. ქართველი მწერლებისა და მომძე ერების საუკეთესო შვილთა მეგობრობა, რუს და ქართველ კლასიკოსთა ტრადიციების გაგრძელება წილად ხვდა საბჭოთა მწერლებს: პატარძეულში გ. ლეონიძის სახლ-მუზეუმში გაცოცხლდა მ. შოლოხოვის, ნ. ტიხონოვის, კ. სიმონოვის და სხვა მოძმე მწერლების საქართველოსთან ურთიერთობების ფაქტები.

ზ. მეძველია.

ᲔᲓᲘᲓᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲔᲑᲘ

აქ საუკუნეები იკითხება

ეთნოგრაფიული ექსპედიციები მოეწყო სვანეთსა და ქართლში. შეგვდის, ნაცულის, მარგვეშის, ღობის, ძუღვარეშის, იფარის, ნაკრის, მულახის, ფარისა და ბეჩოს ეკლესიებში მიკვლეულია 600-მდე დასახელების ნივთი, მათ შორის 370-მდე ისრის პირებია (V-VI საუკუნეები). შიდა ქართლის ექსპედიციის მნიშვნელოვან მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს ყერამიკული წარმოების ცენტრებიდან (გორი, ქმემერტი, ვანათი) მდიდარი კოლექციების მოძიება და მუზეუმში დაუნჯება (50 ერთეული).

რელიგიის ისტორიისა და მეტა. სპელეისტიკის ლაბორატორია აგრძელებდა ვანის ქვაბის არქიტექტურულ-არქეოლოგიურ შესწავლას. მოპოვებულია შუა საუკუნეების კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები.

გეოლოგებმა მოიპოვეს ზერხმლიანთა ფაუნის სხვადასხვა ოჯახის წარმომადგენლთა ჩონჩხის ფრაგმენტები, ზოოლოგებმა 600-ზე მეტი დასახელების 3 ათასამდე ეგზემპლარი მასალა, ბოტანიკოსებმა — 1900-მდე საპერბარიუმო ნიმუში.

ᲔᲓᲘᲓᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲔᲑᲘ

აქ საუკუნეები იკითხება

ეთნოგრაფიული ექსპედიციები მოეწყო სვანეთსა და ქართლში. შეგვდის, ნაცულის, მარგვეშის, ღობის, ძუღვარეშის, იფარის, ნაკრის, მულახის, ფარისა და ბეჩოს ეკლესიებში მიკვლეულია 600-მდე დასახელების ნივთი, მათ შორის 370-მდე ისრის პირებია (V-VI საუკუნეები). შიდა ქართლის ექსპედიციის მნიშვნელოვან მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს ყერამიკული წარმოების ცენტრებიდან (გორი, ქმემერტი, ვანათი) მდიდარი კოლექციების მოძიება და მუზეუმში დაუნჯება (50 ერთეული).

რელიგიის ისტორიისა და მეცნიერული ათეიზმის განყოფილებამ ფშავში და ფშაველებით დასახლებულ ქართლისა და კახეთის სოფლებში კინოფირზე გადაიღო შემორჩენილი ხალხური დღეობები და წეს-ჩვეულებები, საკულტო დანიშნულების ძეგლები, სამეურნეო და საფორტიფიკაციო ნაგებობანი და მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობა.

გამდიდრდა მუზეუმის ლითონისა და ქსოვილების ფონდი. თბილისსა და ხევსურეთში შესყიდულია ვერცხლის ქამრები, სატევრები, თასები და სხვ. (252 ერთეული). აჭარაში ხალიჩაფარდაგები, კახეთსა და ხევსურეთში — ხევსურული ჩაცმულობის ელემენტები (პაჭიჭები, ფარიგა, სათაურა, მანდილი, ფაფანაგი და სხვ.).

მუზეუმის ფონდები გამდიდრდა აგრეთვე შემოწირული ნივთებით. ცნობილი სახოგადო მოღვაწის ალექსი ბარნოვის ოჯახმა მუზეუმს შემოსწირა სადაფითა და ძვლით ინკრუსტირებული მე-17 საუკუნის თარი, თბილისელებმა თ. მჭედლიძემ მუზეუმს გადასცა ხის რიტუალური პურის საბეჭდავი, ჯ. გალოევმა მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცა თუმანის ყოფისათვის დამახასიათებელი ნივთები (მარცვლეულის საწყაო, ქსოვილების ჩასაბეჭდი, სულ 11 ერთეული), სოფელ ხურვალეთისა და თიღვის (ზნაურის რაიონი) მეხოვრებლებმა გ. თავგაზაშვილმა და გ. ლაცაბიძემ შიდა ქართლის ექსპედიციას გადასცეს ბრინჯაოს არქეოლოგიური ნივთები (ხვი, საკიდები, სამაჯურები და სხვ.).

გარდა საექსპედიციო სამუშაოებისა, მუზეუმმა შესასრულა მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები. შარშან აღინიშნა მუზეუმის არსებობის 130 წლისთავი.

ს. ნუცუბიძე.



საუკუნე-გამოვლილი

ტყიბული. ამჟამად ქალაქის ზონაში ყველაზე დღეგრძელი კაცია სოფელ ძიროვნის მკვიდრი ნიკოლოზ სიმონის ძე ფორჩხიძე. მას სულ ახლახან ასი წელი შეუსრულდა. საუკუნის კოლმეურნემ თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი სოფლად გაატარა. იგი ბავშვობიდან გლეხურ შრომას მისდევდა.

დღეგრძელის დიდ ოჯახში ამჟამად ცხრა შვილიშვილი და 16 ბადიშვილია.

— რა გიჭირთ ახლანდელ ახალგაზრდებს, — ამბობს ხოლმე ბაბუა ნიკოლოზი, როცა მას ახალგაზრდები სთხოვენ წარსული დრო გაიხსენოს, — დღევანდელი ცხოვრება გაცილებით საინტერესო და შინაარსიანია.

საუკუნის კაცი ჯერჯერობით არც მუხლს ემდურის, არც თვალს უჩივის. საკუთარ ვენახს არავის აკარებს, თავად უვლის, უყვარს ძველი ხალხური სიმღერები, გონივრული გართობა, ზოგჯერ თავის დაყენებულ ღვინოსაც სიამოვნებით შეექცევა.

სიმღერით გალეული წლები

ჭიათურა. გულწრფელად გაიხარა სამოცდათხუთმეტ წელს მიტანებულმა რგანელმა პავლე. ბაქრაძემ. ახლახან იგი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ თვითმოქმედებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

პროფესიით მშენებელ-ტექნიკოსი პ. ბაქრაძე კარგად უთავსებდა ერთმანეთს შრომასა და მხატვრულ თვითმოქმედებაში მოღვაწეობას. მისი ტკბილი ხმა ყიღრდა ჭიათურის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, თვითონ ლოტბარობდა კალინინის, დიმიტროვის, სტალინის სახელობის მაღაროთსამმართველოების მუშათა კლუბებთან არსებულ თვითმოქმედ გუნდებს.

— მამაჩემის, ყარამან ბაქრაძის ოჯახთან, — იხსენებს პავლე, — ახლო მეგობრობა ჰქონდა გამოჩენილ მომღერალს და ლოტბარს სანდრო კავსაძეს. ამ მეგობრობასაც სიმღერა აკავშირებდა. თითქოს ახლაც მესმის მათ მიერ შესრულებული „ციისიღური“, „წარვედ წყლის პირას“, „სიზმარი“ და მრავალი სხვა. წლები მომერია, მაგრამ სიმღერის სიყვარული არ გამნელებია.

სიმღერით გალეული წლები

ჭიათურა. გულწრფელად გიხარა სამოცდათხუთმეტ წელს მიტანებულმა რგანელმა პავლე. ბაქრაძემ. ახლახან იგი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ თვითმოქმედებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

პრო